

კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტი

გიორგი გეგენავა

კომერციული ბანკები-მათი მნიშვნელობა და როლი მცირე და საშუალო  
ბიზნესის განვითარებაში

საერთაშორისო ბიზნეს მენეჯმენტის სამაგისტრო პროგრამა

ნაშრომი შესრულებულია საერთაშორისო ბიზნეს მენეჯმენტის მაგისტრის  
აკადემიური ხარისხის მოსაპოვებლად

ხელმძღვანელი : თეა კასრაძე

თბილისი 2018

## ანოტაცია

რაც უფრო მაღალია ქვეყანაში უმუშევრობისა და სიღარიბის დონე, მით უფრო უკიდურესად სჭირდება მას მეტი წარმოებული პროდუქტი და მომსახურება. ამ დროს განსაკუთრებით მნიშვნელოვანი ხდება მცირე ბიზნესი, მისი ხელშეწყობა და განვითარება. დღევანდელ რეალობაში, მცირე მენარმეობის ხელშეწყობას მნიშვნელოვნად შეუძლია შეცვალოს სურათი - გაზარდოს როგორც წარმოებული პროდუქტის და მომსახურების მოცულობა, ისე მნიშვნელოვნად გაზარდოს ადამიანების კეთილდღეობის დონე.

ჩვენს ქვეყანაში მცირე და საშუალო საწარმოთა (მსს) ფორმირების პროცესი ატარებს რთულ, წინაღმდეგობრივ ხასიათს, რაც განპირობებულია მრავალი მიზეზით: ბაზრის არასრულყოფილება, საინვესტიციო და საკრედიტო მიმზიდველობის დაბალი დონე, ზენოლა მონოპოლისტი საწარმოების მხრიდან, მოსახლეობაში არსებული კერძო დანაზოგების სიმწირე, დაბალი პროფესიონალიზმი, პრაქტიკული ბიზნეს-განათლების ნაკლებობა და სხვა. შედეგად, საქართველოში მსს-თა წილად მოდის მთლიანი შიდა პროდუქტის მხოლოდ მეოთხედი. პრობლემების მოსაგვარებლად სახელმწიფო ინსტიტუტებთან ერთად მნიშვნელოვანია საკრედიტო კომპანიების, კერძოდ კი ბანკების როლი.

ნაშრომი შედგება შესავალი, 4 თავისა და დასკვნა-რეკომენდაციებისაგან. პირველ თავში განხილულია კომერციული ბანკების არსი ფუნქციები და ბანკების მიმდინარე ფინანსური მდგომარეობა საქართველოში, მე-2 თავში განხილულია მცირე მენარმეობის არსი, მისი პრობლემები და განვითარების გზები საქართველოში. მესამე თავში განხილულია კრედიტის არსსა და მის როლზე მცირე და საშუალო ბიზნესის განვითარებაში და მიმოვიხილეთ კომერციული ბანკების ძირითადი საკრედიტო პროდუქტები ამ სფეროში. მეოთხე თავში საქართველოს საკრედიტო სისტემა, მცირე და

საშუალო ბიზნესის დაკრედიტების პრობლემები და ნაკლოვანებები თანამედროვე ეტაპზე და მისი მოგვარების გზები.

## **Annotation**

**Giorgi gegenava**

### **Commercial banks - their role and role in the development of SMEs**

To eradicate problems of unemployment and poverty country's economy needs development of business – more production of goods and supplies of services. In this respect, role of SMEs and the need of development of small businesses are significant. Promoting small business development can contribute to prosperity and well-being of the whole population.

In our country SMEs establishment process has encountered many obstacles such as market stability and imperfection, low level of investment and credit attractiveness, existence of monopolists, low level of savings rate among population, unskilled labor force, etc. As a result SMEs produce less than the quarter of Georgian GDP. Banks and Credit Institutions play an important role in countering some of these problems.

Research Topic of Master's Thesis: Main direction of research was role of Banks and other credit institutions in fostering SME growth in developing countries and specifically in Georgia as well as factors promoting SME sector and contributing to its sustainable development.

The work consists of an introduction, 4 chapters and conclusion-recommendations. The first chapter discusses the functions of commercial banks, the second chapter discusses the essence of small business, its issues and development perspectives in Georgia. The third section discusses the credit and its role in the development of small and medium enterprises. The fourth chapter reviews the financial system In Georgia, small and medium business lending problems and the recommendations.

## შინაარსი

ანოტაცია .....	1
Annotation .....	3
შესავალი.....	6
თავი I. კომერციული ბანკები - მათი მნიშვნელობა და როლი მცირე და საშუალო ბიზნესის განვითარებაში .....	10
1.1. კომერციული ბანკების არსი და ფუნქციები.....	10
1.2. კომერციული ბანკები საქართველოში.....	20
თავი II. მცირე მეწარმეობა - მისი არსი და როლი ქვეყნის ეკონომიკაში და განვითარების გზები.....	27
2.1. მეწარმეობის არსი და მისი როლი ეკონომიკის განვითარებაში .....	27
2.2. მცირე ბიზნესის ნაკლოვანი მხარეები და ნაკლოვანებების აღმოფხვრის საშუალებები .....	34
თავი III. კრედიტის როლი მცირე და საშუალო საწარმოების განვითარებაში და დაკრედიტების პრობლემები .....	45
3.1. კრედიტის როლი მცირე და საშუალო საწარმოების განვითარებაში.....	38

3.2. კომერციული ბანკის როლი მცირე და საშუალო ბიზნესის განვითარებაში და დაკრედიტების პრობლემები.....	48
3.3. კომერციული ბანკების საკრედიტო პროდუქტები მცირე და საშუალო ბიზნესისთვის .....	54
<b>თავი IV - საქართველოს საკრედიტო სისტემა და საკრედიტო პოლიტიკა მცირე და საშუალო ბიზნესის დაკრედიტების საქმეში. ....</b>	<b>Error! Bookmark not defined.</b>
4.1. საკრედიტო სისტემის როლი მცირე და საშუალო ბიზნესის დაკრედიტებაში .....	60
4.2. კომერციული ბანკის საკრედიტო პოლიტიკა და მცირე და საშუალო ბიზნესთან ურთიერთობების პრობლემები .....	66
<b>დასკვნა-რეკომენდაციები . ....</b>	<b>69</b>
<b>გამოყენებული ლიტერატურა.....</b>	<b>75</b>

## შესავალი

თემის აქტუალობა. განვითარებულ ქვეყნებში მცირე და საშუალო ბიზნესის განვითარება მაღალი ტემპებით მიმდინარეობს, რადგან ეროვნული მთავრობები დიდ მნიშვნელობას ანიჭებენ ასეთ სანარმოებს და მნიშვნელოვან დახმარებას უწევენ მათ. ეკონომიკურად განვითარებულ ქვეყნებში მცირე და საშუალო ბიზნესი მოსახლეობაში საშუალო კლასის ფორმირების საფუძველია, რომელიც ეკონომიკის სტაბილური განვითარების ბაზას წარმოადგენს და მოსახლეობის დიდ ნაწილს ასაქმებს.

მცირე მენარმეობა მსოფლიოს ყველა ქვეყანაში ეროვნული ეკონომიკის განუყოფელი ნაწილია, თანამედროვე ეკონომიკა წარმოუდგენელია კარგად განვითარებული მცირე სანარმოო სექტორის გარეშე, ვინაიდან იგი ეკონომიკას უფრო მოქნილ და მანევრირებად ხასიათს აძლევს და ამასთანავე უზრუნველყოფს ჯერ ერთი, მოსახლეობის სანარმოო და ფინანსური რესურსების მობილიზაციას და მინიმალური დანახარჯებით, ქმნის ახალ სამუშაო ადგილებს, მეორე – ხელს უწყობს ადამიანის მენარმეობრივი უნარის ამოქმედებას და უზრუნველყოფს მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის მთელი რიგი მნიშვნელოვანი მიმართულებით განვითარებას; მესამე – ხელს

უნყოფს დასაქმების პრობლემის გადაჭრას და შესაბამისად ქვეყნის სოციალური ფონის გაუმჯობესებას და საბოლოო ჯამში ავითარებს საბაზრო ურთიერთობათა ფორმირების პროცესში დემოკრატიულ საწყისებს.

ბოლო ნახევარი საუკუნის განმავლობაში, მცირე ბიზნესმა დასავლეთ ევროპის ქვეყნებისა და აშშ-თვის არნახული მნიშვნელობა შეიძინა. მცირე საწარმოთა ძირითადი მასა არიან კომპანიები, სადაც 20 კაცზე ნაკლებია დასაქმებული. ახალი სამუშაო ადგილების 2/3-ის ფორმირებას სწორედ მცირე საწარმოები უზრუნველყოფენ. მცირე საწარმოები ეფექტიანობას ავლენენ არა მარტო სამომხმარებლო სფეროში, ასევე მრეწველობის გადამამუშავებელ დარგებში, როგორც ცალკეული მცირე მექანიზმების, დეტალების და ნახევარფაბრიკატების მწარმოებლები, რომელთა გამოშვება არარენტაბელურია მსხვილი საწარმოებისათვის. აღნიშნული საფუძვლად უდევს დასავლეთის ქვეყნების ეკონომიკებში მცირე საწარმოების განსაზღვრის და მათი როლის მიმართ სისტემურ მიდგომას. ბოლო წლებში, მიუხედავად კაპიტალის კონცენტრაციისა და ცენტრალიზაციისა რიგ ქვეყნებში, არ მომხდარა მცირე და საშუალო ბიზნესის მასშტაბების შეზღუდვა, რამდენადაც მათ სიცოცხლისუნარიანობის არნახული უნარი გამოავლინეს.

ნებისმიერი პოსტსოციალისტური ქვეყნისათვის უაღრესად დიდი მნიშვნელობა აქვს მცირე და საშუალო ბიზნესის განვითარებას. როგორც წესი, იგი განსაკუთრებულ როლს ასრულებს თითქმის ყველა სახელმწიფოს მთლიანი შიდა პროდუქტის ფორმირებაში, სამუშაო ადგილების შექმნაში, მსხვილი კომპანიების მოთხოვნილებათა დაკმაყოფილებაში, ახალი ტექნოლოგიებისა და ნოვაციების დანერგვაში.

თანამედროვე პირობებში საქართველოს ეკონომიკისათვის უაღრესად მნიშვნელოვანია მცირე და საშუალო ბიზნესის ზრდა, მისი ფორსირებული განვითარება (ოფიციალური სტატისტიკის მიხედვით, საქართველოში მსბ-ში იქმნება ქვეყნის დამატებული ღირებულების 19–20%, და სამუშაო ადგილების 43–44%). ეს იმითაცაა განპირობებული, რომ რეფორმების ოცნლიანი გამოცდილების მიუხედავად,

საქართველო რჩება გარდამავალი ტიპის ეკონომიკის მქონე ქვეყნად. სწორედ წინააღმდეგობრივმა, ხშირად არაჰარმონიზებულმა ეკონომიკურმა რეფორმებმა ვერ შექმნეს სტრუქტურული გარდაქმნის წინაპირობები და გაუაზრებელი დეინდუსტრიალიზაცია გამოიწვიეს.

დღევანდელი მონაცემები ყველაზე ნათლად მიუთითებს მცირე და საშუალო ბიზნესის მნიშვნელობაზე, თუმცა მცირე სანარმოო სუბიექტების ერთ-ერთი უმწვავესი პრობლემაა ფინანსური რესურსების სიმცირე, რომელიც მას ფუნქციონირების პროცესში ესაჭიროება ისეთი მნიშვნელოვანი ამოცანების გადასაჭრელად, როგორებიცაა მაგალითად, მატერიალურ-ტექნიკური ბაზის განახლება ან ახალი ძირითადი საშუალების შეძენა, მუდმივი და სტაბილური სასაქონლო მარაგების შექმნა, მიმდინარე ხარჯების დაფარვა და სხვა. აღნიშნული ამოცანების წარმატებით გადაჭრა განაპირობებს ზოგადად, სანამოო სუბიექტის წარმატებას, რაც თავისთავად უზრუნველყოფს სტაბილურ, მზარდ მოთხოვნას სანარმოს მიერ წარმოებულ საქონელსა თუ მომსახურებაზე.

სახელმწიფოს მიერ, მცირე და საშუალო ბიზნესის განვითარებისათვის გადაიდგა რამდენიმე სერიოზული ნაბიჯი მაგ: 2014 წელს დაარსდა, სსიპ მენარმეობის განვითარების ეროვნული სააგენტო“, რომელიც ახორციელებს პროგრამებს მცირე და საშუალო მენარმეობის განვითარების ხელშეწყობისათვის. სახელმწიფოს მიერ გადადგმულ ნაბიჯებს ეკონომისტები არასწორად მიიჩნევენ, განსაკუთრებით კი აშკარა შეცდომად სახელდება იაფი კრედიტების პროგრამა, რომელმაც ვერ გაამართლა. ეკონომისტების აზრით, არასწორია როდესაც სახელმწიფო კრედიტს იძლევა. უმჯობესი იქნება სახელმწიფომ ბიზნესს შეუქმნას ისეთი გარემო, სადაც არ დაჩაგრავენ, იქნება მოქნილი საგადასახადო პოლიტიკა და ბანკები შედარებით ხელსაყრელი პირობებით გასცემენ კრედიტს.

**ნაშრომის კვლევის საგანი და ობიექტი:** თემის დამუშავების პროცესში კვლევის ძირითადი მიმართულება იყო კომერციული ბანკების როლი მცირე და საშუალო

ბიზნესის განვითარებაში და ამ კუთხით გარკვეული ნაკლოვანებების გამოვლენა განვითარებადი ეკონომიკის მქონე ქვეყნებში, მათ შორის საქართველოში, ასევე მცირე და საშუალო მენარმეობის მნიშვნელობა და მისი განვითარების ხელშემწყობის ფაქტორები საქართველოში.

**ნაშრომის მეცნიერული სიახლე:** ნაშრომში გაანალიზებულია, თუ რა როლს ასრულებენ კომერციული ბანკები მცირე და საშუალო ბიზნესის განვითარებაში, გამოვლენილია გარკვეული რამდენიმე ძირითადი ნაკლოვანება კომერციული ბანკების საკრედიტო პოლიტიკაში, რაც აფერხებს ამ სექტორის განვითარებას. განსაზღვრულია სახელმწიფოს როლიც დაასტიმულიროს კომერციული ბანკების მიერ მცირე ბიზნესის გრძელვადიანი დაკრედიტება და შემუშავებულია გარკვეული მიმართულებები ამ კუთხით. გაანალიზებულია საქართველოს საკრედიტო სისტემა, სრულად წარმოდგენილია ის საკრედიტო პროდუქტები, რომელიც დღესდღეობით გააჩნიათ კომერციულ ბანკებს მცირე ბიზნესის დაფინანსების მიმართულებით. წარმოდგენილია სტატისტიკური მონაცემები საქართველოს კომერციული ბანკების მთლიან აქტივებზე და ასევე მთლიან საკრედიტო პორტფელში მის ვადიანობაზე და გაანალიზებულია აღნიშნული სტატისტიკური ინფორმაცია.

ნაშრომში შედგება 4 თავისა და 16 ქვეთავისგან. პირველ თავში მიმოხილულია კომერციული ბანკების არსი, მათი ფუნქციები, მოკლე ისტორია და განხილულია კომერციული ბანკების ფინანსური მდგომარეობა საქართველოში. მეორე თავში მიმოვიხილავთ მცირე მენარმეობის არსს, მის პრობლემებსა და განვითარების გზებს საქართველოში. მესამე თავში ვისაუბრეთ კრედიტის არსსა და მის როლზე მცირე და საშუალო ბიზნესის განვითარებაში და მიმოვიხილეთ კომერციული ბანკების ძირითადი საკრედიტო პროდუქტები ამ სფეროში. მეოთხე თავში განვიხილეთ საქართველოს საკრედიტო სისტემა, მისი პრობლემები და ნაკლოვანებები თანამედროვე ეტაპზე და დაესახეთ პრობლემის მოგვარების გზები.

## **თავი I. კომერციული ბანკები - მათი მნიშვნელობა და როლი მცირე და საშუალო ბიზნესის განვითარებაში**

### **1.1. კომერციული ბანკების არსი და ფუნქციები**

არსებობს “ბანკის” ცნების მრავალი სხვადასხვანაირი განმარტება, თუმცა ყველა მათგანის საერთო ნიშანი ისაა, რომ ისინი ბანკის საქმიანობის შეფასებას იძლევიან მათ მიერ განხორციელებული ოპერაციებიდან გამომდინარე, ასრულებენ რა ამით მოსაშუალოებრივ როლს ეკონომიკაში. ამის საფუძველია რესურსების გადადენა, რომლებიც გარკვეული დროის განმავლობაში ერთთა ხელში იმყოფებიან და გამოყენებას კი სხვებისგან მოითხოვენ. სიტუაციის განსაკუთრებულობა იმაში მდგომარეობს, რომ ერთი შუამავალი, რომლებსაც რესურსების განსაზღვრული ნაწილი

გააჩნია, ცდილობს განსაზღვრული გარანტიების არსებობის პირობებში და გარკვეული გარანტიით, გარკვეული ვადის განმავლობაში, გასცეს ეს რესურსი სხვა კონტრაგენტს. კრედიტორის ინტერესები უნდა ემთხვეოდეს მოსესხის (სესხის ამღების) ინტერესებს. თანამედროვე ფულად მეურნეობაში ინტერესთა ასეთი დამთხვევა შემთხვევითია. მაკონსოლიდირებელ რგოლად, აქ გამოდის შუამავალი კომერციული ბანკი. მრავალრიცხოვანი ფინანსური რესურსების შეგროვებით, ბანკს შეუძლია დააკმაყოფილოს სრულიად სხვადასხვანაირ მოსესხეთა ინტერესები, შესთავაზოს კრედიტის არჩევანი ნებისმიერი ვადით და განსაზღვრული სარგებლის განაკვეთით. ბანკი ერთოდროულად არის კრედიტორის, მოსესხეც და შუამავალიც, რამდენადაც სამივე თვისება ბანკის ძირეული ფუნქციაა. “ეკონომიკის” თეორიტიკოსთა ნაშრომებში კომერციული ბანკები წრმოგვიდგებიან, როგორც სპეციფიკური შუამავალი ინსტიტუტები, რომლებიც ახორციელებენ ფულადი ნაკადების გადანაწილებას ეკონომიკაში, რომლებიც დასაქმებულნი არიან დეპოზიტების მოზიდვით და კომერციული კრედიტის შეთავაზებით.

კომერციული ბანკების წარმოშობა თავდაპირველად, დაკავშირებული იყო საკრედიტო ურთიერთობების განვითარებასთან. ისტორიულად, პირველ მარტივ საკრედიტო ურთიერთობებს წარმოადგენდა კრედიტორსა და მსესხებლებს შორის უშუალო ურთიერთობა, როდესაც დროებით თავისუფალ ფულზე მოთხოვნის მქონე ფიზიკურ პირთან ურთიერთკონტაქტში შედიოდნენ მესამე პირის ჩაურევლად. თუმცა ასეთი ურთიერთობები მარტივი იყო. ამასთან საწარმოო ძალთა განვითარებით წინააღმდეგობა კრედიტორსა და მსესხებელს შორის სულ უფრო მძაფრ ხასიათს იძენდა. ეს წინააღმდეგობა შედეგი ფორმებით არსებობდა:

- წინააღმდეგობა კრედიტორთან დროებით გამოთავისუფლებულ ფულადი სახსრების სიდიდესა და ფულზე მსესხებლი მოთხოვნას შორის;

- წინააღმდეგობა კრედიტორთან დროებით გამოთავისუფლებული ფულადი სახსრების ხანგრძლივობასა და მსესხებელთან დამატებითი სახსრების მოთხოვნის არსებობის ხანგრძლივობას შორის.

ამ წინააღმდეგობათა პროცესში, დროთა განმავლობაში, აუცილებელი გახდა შექმნილიყო ისეთი ეკონომიკური სუბიექტი, რომელიც ერთგვარ შუამავლის როლს შეასრულებდა მსესხებელსა და გამსესხებელს შორის და დაარეგულირებდა ამ ტიპის ურთოერთობებს, თუმცა საბანკო სისტემის ჩამოყალიბება არ სპობს კრედიტორსა და მსესხებელს შორის წინააღმდეგობას, მაგრამ იგი გამოვლინების ახალ ფორმებს იძენს და გამოდის ასეთი სახით:

- საბანკო სისტემაში თავისუფალი ფულადი სახსრების შემოსულობების დრო და ეროვნულ მეურნეობაში მათი დაბანდების დრო ერთმანეთს არ ემთხვევა;
- საკრედიტო რესურსების მოცულობა არ არის შესაბამისობაში დამატებით სახსრებზე მოთხოვნის სტრუქტურასთან.

ისტორიას საკმარისი ცნობების არ შემოუნახავს იმის შესახებ თუ სად გაჩნდა ბანკები. მრავალი მეცნიერის აზრით, ბანკები კაპიტალიზმის მანუფაქტურული სტადიის პირობებში აღმოცენდა. ისინი თავდაპირველად იტალიის ცალკეულ ქალაქებში გაჩნდა მე-14 და მე-15 საუკუნეებში. ამ დანესებულებებს უნდა მოეხდინა ფულის მიმოქცევის რეგულირება და უფრო ფართო მასშტაბებით ეწარმოებინა საკრედიტო ოპერაციები. ბანკი, კრედიტის განვითარების მხოლოდ ისეთ სტადიაზე გაჩნდა, როდესაც მისი დახმარების გარეშე კაპიტალისტური საწარმოების ფუნქციონირება შეუძლებელი იყო. ამიტომ შემხვევითი არ არის, რომ ბანკს ახასიათებენ, როგორც სწორედ კაპიტალისტური მეურნეობის მოვლენას. სპეციალისტთა მეორე ნაწილს მიაჩნია, რომ ბანკები უფრო ადრეულ პერიოდში – ფეოდალიზმის დროს გაჩნდნენ. ისინი აღნიშნავენ, რომ უკვე ანტიკური და ფეოდალური მეორნეობის დროს წარმოიშვა მოთხოვნილება ბანკების,

როგორც გადახდებში შუამავლის ფუნქციაზე. ფეოდალიზმის დაშლის ეპოქაში მე-17- მე-18 საუკუნეებში მონეტების გაუფასურების წინააღმდეგ, ბურჟუაზიამ ახალი ნაბიჯი გადადგა მტკიცე ფულისთვის ბრძოლაში – შექმნა საანგარიშგებო ინსტიტუტები “ჟიროკასების” სახით. ვაჭრებს შეჰქონდათ შენატანები “ბანკში”, რომლებიც ჩაიწვრივებოდა მათ ანგარიშებზე საანგარიშწორებო ფულადი ერთეულებით. ბანკის მიზანი იყო შებრძოლებოდა მონეტურ უწესრიგობას და გადახდის უფრო მოხერხებული შესაძლებლობა შეექმნა იმათთვის, რომელთაც ფული უნდა გაეშვათ ბრუნვაში.

ძველი ბანკების საკრედიტო ოპერაციებთან ერთად თანდათან განვითარდა მეანაბრეთა მომსახურების ხაზით შესრულებული ანგარიშწორებაც. ანგარიშწორებას ახდენდნენ ე.წ ტრანსფერიტის მეშვეობით, ე.ი ფულადი სახსრები ერთი ცხრილიდან მეორეზე გადაჰქონდათ. დროთა განმავლობაში ბანკები და საბანკო ოპერაციები დაიხვეწა და მიიღო ისეთი სახე, როგორც დღეს აქვს.

დღევანდელ პირობებში კომერციული ბანკები ორიარუსიანი საბანკო სისტემის ძირითადი რგოლია. ანსხვაგვებენ უნივერსალურ და სპეციალურ ბანკებს უნივერსალური ბანკი ახორციელებს ყველა სახის საბანკო ოპერაციებს – მოკლევადიანი და გრძელვადიანი დაკრედიტების ოპერაციებს ფასიან ქაღალდებთან, ანაბრების მიღებას, ყოველნაირი საბანკო მომსახურების განევას და აშ. სპეციალური ბანკი კი პირიქით, სპეციალდება ერთ ან რამდენიმე საქმიანობაში.

საბანკო სისტემის ფუნქციონირების თანამედროვე პრაქტიკაში ფართოდ არის გავრცელებული უნივერსალური ბანკები, რომლებსაც თავისი მიზნები გააჩნიათ. შესაძლებელია კონკურენციული გარემოს პირობებში ერთი ან რამოდენიმე სპეციალური ოპერაციის უფლებამოსილი ბანკი ადვილად გაკოტრდეს, ამიტომ ბანკების უნივერსალიზაცია უფრო სტაბილური და მოგების მომტანია.

დღეისათვის თანამედროვე ეპოქის კომერციული ბანკები ახორციელებენ მრავალმხრივ მომსახურებას:

- საკრედიტო მომსახურებას, რომელთა რიცხვში ტრადიციული დაკრედიტების პარალელურად გვხვდება საბანკო სესხების ისეთი შემცვლელები, როგორცაა ფაქტორინგი, ლიზინგი, ფორფეიტინგი, აგრეთვე გარანტიების გაცემა;
- საანგარიშსწორებო-საკასო მომსახურებას, ე.ი მომსახურების ისეთ სფეროებს, რომლებიც დაკავშირებულია უნაღლო ანგარიშსწორების განხორციელებასთან, აგრეთვე, ნაღდი ფულის მიღება-გაცემასთან;
- საშემნახველო (დეპოზიტური) მომსახურებას, რომელიც დაკავშირებულია ბანკში კლიენტის უვადო, ვადიანი ან საშემნახველო ანგარიშების გახსნასთან;
- სატრასტო (ნდობითი) მომსახურებას, როცა ბანკი თავის თავზე ღებულობს ფიზიკური ან იურიდიული პირის ქონებრივ მართვას;
- საგარეო-ეკონომიკური საქმიანობასთან დაკავშირებულ მომსახურებას, აგრეთვე, სავალუტო მომსახურებას;
- საინვესტიციო მომსახურებას, რომლის დროსაც კლიენტს საშუალება ეძლევა ფულადი სახსრებით შეიძინოს ფასიანი ქაღალდების უძრავ-მოძრავი ქონება;
- საკონსულტაციო მომსახურებას.

კომერციული ბანკების ძირითადი პროდუქტია კრედიტები, რომლებიც კლიენტებს ეძლევათ როგორც სახსრები, რომლებიც თავის ამოსავალ წერტილს უბრუნდება გაზრდილი სახით. ბანკი თავისი არსით გამოდის, როგორც მსხვილი საკრედიტო დაწესებულება, რომლის სავალდებულო საქმიანობაა ფულადი სახსრების შეთავაზება-დაბრუნებითობის პრინციპის საფუძველზე. საკრედიტო საქმე ფუძემდებლური მომენტია მთელი ეკონომიკის მასშტაბით, რომელიც განსაკუთრებულ ორგანიზაციასა და კონტროლს მოითხოვს. კომერციული ბანკი, როგორც საკრედიტო ინსტიტუტე, არეგულირებს ყველა მეურნე სუბიექტის სავადასახადო ბრუნვას. ბანკი წარმოადგენს

საბაკო კაპიტალს, როგორც სამრეწველო და სავაჭრო კაპიტალის გამოცალკევებულ ნაწილს, როგორც საკუთარი და ნასესხებ კაპიტალს.

კომერციული ბანკები თავიანთ საქმიანობას აფართოებენ ეკონომიკური ურთიერთობათა სისტემაში, ინტეგრირდებიან სხვა მეურნე სუბიექტებთან. მათი მნიშვნელობა, უწინარეს ყოვლისა, იმით განისაზღვრება, რომ ისინი უზრუნველყოფენ ეკონომიკის ყველა სექტორის ურთიერთკავშირს ეკონომიკურ სუბიექტებს შორის ფულად ანგარიშსწორებათა განხორციელების მეშვეობით. კაპიტალის კონცენტრაცია ფულადი ფორმით, გარდაუვლად იწვევს იმას, რომ საბაკო სისტემა ახორციელებს სარეზერვო კაპიტალის აკუმულირებას მთელი ეკონომიკის მასშტაბით.

კომერციული ბანკების დანიშნულება რეალიზდება თავიანთი ფუნქციების შესრულების დახმარებით. კომერციული ბანკის ფუნქცია უნდა მიუთითებდეს გასწავლებაზე სხვა ეკონომიკური სუბიექტებისგან. კომერციული ბანკების ფუნქციებში შეიძლება გავიგოთ ობიექტურად განპირობებული საზოგადოებრივად სასარგებლო ქმედებები, რომლებიც გამოხატავენ ბანკის, როგორც საფინანსო ინსტიტუტის დანიშნულებას. კომერციული ბანკები არ შეიძლება განხილული იქნეს იზოლირებულად, განცალკევებულად იმ პროცესებისგან, რომლებიც საზოგადოებაში მიმდინარეობს. ისინი ჩართული უნდა იყვნენ ეკონომიკურ სისტემაში და მიანიჭონ მას მიმართულება და სპეციფიკური დანიშნულება. ფუნქცია თავის თავში ატარებს კომერციული ბანკის საზოგადოებრივ და საწარმოო მნიშვნელობას მთელი ეკონომიკისათვის. კომერციული ბანკის ფუნქციები განსაზღვრავენ მისი განვითარების სტრატეგიებს. ფუნქცია გამოხატავს თვით ბანკის არსს.

კომერციული ბანკების უფრო დინამიური განვითარებისთვის მნიშვნელოვანია, რომ მათი ფუნქციები ატარებდნენ განვითარების კანონზომიერ და თანმიმდევრულ ხასიათს.

კომერციული ბანკის ამოსავალი ფუნქცია არის სააკუმულაციო-გამანაწილებელი ფუნქცია. ფულად სახსრების აკუმულაცია, შენახვა და განაწილება წარმოადგენს

კომერციული ბანკების საქმიანობის ერთ-ერთ უძველეს მიმართულებას. ამასთან დაკავშირებით მნიშვნელოვანია ის მომენტი, როდესაც ფულადი რესურსების აკუმულაცია ძირითადად ხორციელდება სხვების თავისუფალი სახსრების ხარჯზე, ხოლო განაწილება დაქვემდებარებულია არა იმდენად საკუთარ მიზნებზე, რამდენადაც სხვების მიზნებზე (მოცემულ შემთხვევაში იგულისხმება საზოგადოების მოთხოვნილებები) მისი დახმარებით ბანკები ქმნიან თავიანთი საქმიანობის საფუძვლებს, რომელიც შემდგომში მისი ზრდის წყაროს წარმოადგენს. ამ ფუნქციის ფარგლებში კომერციული ბანკები აფართოებენ თავიანთ ზეგავლენას, ახალ “ნიშებს” პოულობენ ბაზრის ახალი სეგმენტის დასაპყრობად, კლიენტების განსაზღვრულ ჯგუფის მისამხრობად.

ეკონომიკურ ურთიერთობათა განვითარების პროცესში ცვლილებები მიმდინარეობს წარმოების ზრდაში, მის განზოგადებაში, გასახელმწიფოებრიობაში. ამ პროცესებთან ერთად იცვლება როგორც სანარმოო, ისე ფინანსური ურთიერთობები, მაგრამ კომერციული ბანკების საკუმულაციო-გამანაწილებელი ფუნქცია რჩება. იგი ივსება ახალი შინაარსით, ახანგრძლივებს განვითარების საკუთარ გზას, ფუნქციის ევოლუცია დაკავშირებულია ოპერაციათა მრავალფეროვნებასთან. ბანკები დროებით თავისუფალი ფულადი სახსრების შემგროვებლები არიან იმ მეურნე სუბიექტებისადმი შემდგომი წარმართვისათვის, რომლითაც იგი სჭირდებათ. აგროვებენ რა წვრილ და უმნიშვნელო ფულად სახსრებს, ბანკები მათ გადააქცევენ მძლავრ ფინანსურ ნაკადებად. ბანკების მიერ აკუმულირებული ფულადი რესურსები საშუალებას იძლევიან არა მხოლოდ შევინარჩუნოთ პროდუქტის წარმოების და მიმოქცევის შეწყვეტა, არამედ დავაჩქაროთ ასევე კვლავწარმოებითი პროცესი მთლიანად.

ბანკებს, ისე როგორც არც ერთ სხვა ეკონომიკურ ინსტიტუტებს არ გააჩნიათ ფულადი მიმოქცევის მონესრიგების და რაციონალიზების თვისება. ფულადი მიმოქცევის მონესრიგება და რაციონალიზაცია მიიღწევა არამხოლოდ ბანკების მიერ ორგანიზებულ ანგარიშსწორებათა, გადახდის ყველაზე უფრო სრულყოფილ

ეკონომიკური ფორმების დანერგვის შედეგად, არამედ ასევე სანარმოო რესურსების უფრო რაციონალური გამოყენების მეშვეობით. ბანკებს კლიენტების დავალებით შეუძლიათ ფულადი და მატერიალური საშუალების სამუშაოს შესრულება. ბანკში არსებული ფული არამხოლოდ ანგარიშზე ინახება, არამედ ის წრებრუნვას ასრულებს, რომელიც დამატებით მოგების მიღების საშუალებას აძლევს როგორც მის მფლობელს, ასევე ბანკსაც. ბანკების მიერ მოზიდული რესურსების ყველა სახეობა, შეიძლება პირობითად დაიყოს ფასიან და უფასო რესურსებად. უფასოებს მიეკუთვნება ნაშთების საკოროსპედონტო და ანგარიშსწორებათა ანგარიშზე. ფასიანს- ანაბრები, ბანკთაშორისი კრედიტები და ობლიგაციები.

კომერციული ბანკების შემდეგი ფუნქციაა ბრუნვის უზრუნველყოფის ფუნქცია. უნდა აღვნიშნოთ როგორც ბრუნვის უზრუნველყოფის ფუნქცია რეალიზდება სანარმოო საბრუნავი საშუალებების მომსახურებაში, მოკლევადიანი დაკრედიტების მეშვეობით, ქონებათა გადანაწილებისა და მართვით. კომერციული ბანკის ბრუნვის უზრუნველყოფი ფუნქცია თანამედროვე პერიოდში მონოდებულია უზრუნველყოფის რესურსები და შესაძლებლობები სამრეწველო სანარმოების განვითარებისათვის, მათი ეკონომიკური ზრდისათვის. კრედიტების დანიშნულებათა შეფასების ანალიზი კომერციულ ბანკებში საშუალებას გვაძლევს ვილაპარაკოთ იმის შესახებ, რომ ბრუნვის უზრუნველყოფი ფუნქცია ბანკების მიერ განიხილება, როგორც მცირე და საშუალო ბიზნესის განვითარების მნიშვნელოვანი მექანიზმი. კრედიტების ძირითადი ნაწილი წარმართება საქონელთა ბრუნვის ანაზღაურებაზე, ხელფასის გაცემაზე, ძველი ვალების დაფარვაზე, ასევე ადრე აღებული კრედიტის დაბრუნებაზე. აქ ბანკისათვის გადამწყვეტი ფაქტორია კომპანიის სახსრების ბრუნვადობის რეალური შეფასება.

აღნიშნულ ფუნქციას ავტომატურად ებმის საინვესტიციო ფუნქცია. იგი განხილული უნდა იქნას კაპიტალის დაბანდების თვალსაზრისით, რომელმაც უნდა უზრუნველყოს კაპიტალის შენარჩუნება.

ამრიგად, კომერციული ბანკების საინვესტიციო საქმიანობის მიზანი საკუთარი სახსრებს შენარჩუნების, დივერსიფიკაციისა და ლიკვიდობის უზრუნველყოფაში მდგომარეობს. ინვესტიციების ძირითადი განსხვავება რესურსების განთავსების სხვა მიმართულებებისაგან იმაში მდგომარეობს, რომ ფულადი სახსრები განთავსდება (ბანდდება) არა ამ წუთიერი მოგების (სარგებლობის) მისაღებად, არამედ მომავალ მოთხოვნილებათა დაკმაყოფილებისათვის. საინვესტიციო პორტფელის ფორმირება ხორციელდება თანდათანობით და რესურსების განთავსება ხორციელდება ფინანსური ბაზრის სხვადასხვა საინვესტიციო ინსტრუმენტში, რაც ბანკს მოგების შემცირების რისკის შემცირების საშუალებას აძლევს. იმ შემთხვევაში თუკი ბაზრის ერთ-ერთ სეგმენტზე წარმოებს განაკვეთების მკვეთრი დაცემა, რაც იწვევს შემოსავლიანობის შემცირებას, ამ პროცესს დივერსიფიკაცია ეწოდება. მნიშვნელოვანია ავლნიშნოთ, რომ საინვესტიციო პორტფელში შეტანილი უნდა იქნეს ფინანსური ბაზრის ისეთი ინსტრუმენტები, რომლებიც პასუხობენ რამდენიმე მახასიათებელს: რისკს, შემოსავლიანობას, ღირებულების ზრდას და მიმდინარე შემოსავალს.

საინვესტიციო ფუნქციების მეშვეობით განსაკუთრებით იზრდება კომერციული ბანკების გავლენა ეროვნულ ეკონომიკაზე, მრეწველობაზე, რომელიც ხორციელდება ბანკების მონაწილეობის მეშვეობით საწარმოთა კაპიტალებში, საბანკო მანდატების ფლობით სამეთვალყურეო საბჭოებში, რაც უზრუნველყოფს ბანკის უფრო მეტ დაინტერესებას ამ სექტორის განვითარების თვალსაზრისით.

საკუმულაციო გამანაწილებელ და საინვესტიციო ფუნქციასთან მჭიდროდ დაკავშირებულია კომერციული ბანკის საინფორმაციო ფუნქციაც. რამდენადაც თავისუფალი ფულადი სახსრების აკუმულაცია შეიცავს ინფორმაციას თავისუფალი ფულადი სახსრების რაოდენობის, ღირებულების ნაკადების შესახებ, რომლების მატერიალურ წარმოებაში იქმნება. ამ ნაკადების ანალიზი გვაძლავს გავანალიზოთ და დავაპროგნოზოთ მატერიალური წარმოების და საბოლოო ჯამში ფინანსური რესურსების განვითარების ხარისხი. ეს ფუნქცია თავიდანვე როდი წარმოიშვა, არამედ

ყალიბდებოდა თანდათანობით, საკრედიტო ურთიერთობების განვითარების კომერციული ბანკების საშუაშალო ქმედებათა წარმოების განსაზოგადოების განვითარების კვალობაზე.

საინფორმაციო ფუნქციის განვითარება აიძულებს კომერციულ ბანკებს შეცვალონ საკასო-საანგარიშო მომსახურების პირობები, ეძებონ კლიენტებზე ურთიერთქმედების ახალი ხერხები, შესთავაზონ დაკრედიტებისა და ხელფასის ანაზღაურების სხვადასხვა სქემები. ( მაგალითად პლასტიკური ბარათების მეშვეობით)

თანამედროვე პერიოდში, კლიენტი საკმაოდ ინფორმირებულია საბანკო სექტორში არსებულ მდგომარეობაზე, ბანკის საკრედიტო თუ სხვადასხვა მომსახურებაზე, რაც მას არჩევანის საშუალებას აძლევს, ხოლო კომერციულ ბანკებში კი ზრდის კონკურენციას, რაც საბანკო სისტემის განვითარების ერთ-ერთი მთავარი წინაპირობაა.

საინფორმაციო მოთხოვნილებების რეალიზაცია ხელს უწყობს კლიენტების საბანკო მომსახურებას, საბანკო ოპერაციების სრულყოფას და საბანკო პრაქტიკისადმი უფრო რაციონალურ მიდგომას, რაც უზრუნველყოფს ბანკის მატერიალური დანაკარგების შემცირებას. კომერციული ბანკის საქმიანობის წარმატება დიდად არის დამოკიდებული სხვადასხვა ქვედანაყოფების საინფორმაციო მოთხოვნილებათა დაკმაყოფილების შესაძლებლობაზე.

მიკრო- დონეზე სწორედ საინფორმაციო ფუნქციამ მოგვცა საშუალება შეგვეფასებინა ის ფაქტი, რომ საბანკო სისტემის განვითარება გარდამავალი ეკონომიკის მექანე ბევრ ქვეყანაში მიმდინარეობს რეალურ სექტორში განხორციელებულ გარდაქმნებთან მნიშვნელოვანი ჩამორჩენით. ბანკებისათვის საჭიროა ახალი კლიენტურის ბაზა. ბანკების განვითარების პარალელურად უნდა მიმდინარეობდეს სამეწარმეო სექტორის განვითარება, რათა ორივე მათგანმა სიმბიოზური დამოკიდებულებით შეძლონ ზოგადად, ქვეყნის ეკონომიკის განვითარება.

კომერციული ბანკების შემდეგი არანაკლებ მნიშვნელოვანი ფუნქციაა სტრუქტურაშემქმნელი ფუნქცია. იგი არსებობს სააკუმულაციო-განმანაწილებელშიც, ბრუნვის უბრუნველყოფაშიც, საინვესტიციო და საინფორმაციო ფუნქციებშიც. მას მოქმედების ორი მომენტი გააჩნია: საკუთრივ ფულად საკრედიტო პროცესების სისტემის შემქმნელობა და მისი მეშვეობით წარმოებრივ პროცესებზე ზემოქმედება. სწორედ ეს ორმაგი შინაარსი აყალიბებს კომერციული ბანკების სტრუქტურაშემქმნელ ფუნქციას. მისი შედეგიანობა განვითარებისა და ცივილებულობის დონესთან დამოკიდებულებაში იმყოფება, რაც თავის მხრივ, პირდაპირ და უშუალოდ არის დაკავშირებული მაკროეკონომიკის ეფექტიანობასა და სტაბილურობასთან. შევნიშნავთ, რომ ამ შინაარსიანი დაკავშირებული სტრუქტურულობის შედეგად, ყალიბდება კომერციული ბანკების შემდეგი საბოლოო მაინტეგრირებელი-მარეგულირებელი ფუნქცია.

კომერციული ბანკები ეკონომიკის რეგულირების უმნიშვნელოვანესი მექანიზმია, რომელთაც შეუძლიათ ზეგავლენა მოახდინონ ეკონომიკაზე თავიანთი პრიციპების, მეთოდების და ფუნქციების დახმარებით, ოპერაციების მეშვეობით, საინვესტიციო აქტიურობის ამაღლების მიზნით. ფასიანი ქაღალდების ბაზარი კომერციული ბანკების სტრუქტურაშემქმნელი ფუნქციის ელემენტია, რომელიც განსაკუთრებულ როლს თამაშობს მის ჩამოყალიბებასა და განვითარებაში. მთავარი ისაა, რომ იგი წარმოადგენს კაპიტალის გადანაწილების მექანიზმს დარგებსა და რეგიონებს შორის. ამასთან კაპიტალი მიდის დაბალშემოსავლიანიდან მაღალშემოსავლიან სფეროებში, რაც ცხადია სტიმულს აძლევს ეკონომიკის ეფექტიანობის ზრდას. ამრიგად მნიშვნელოვანია, რომ კომერციული ბანკები ქმნიდნენ სასტარტო პირობებს ეკონომიკური ზრდისათვის, რაც მათი ნორმალური ფუნქციონირების პირობებში სავსებით შესაძლებელია. ისინი მონაწილეობენ წარმოების განვითარების საქმეში. იმისგან, თუ რა ამოცანებს ისახავს კომერციული ბანკი და რა პირობებში მუშაობს იგი, დამოკიდებულია მთლიანად სახალხო მეურნეობის მთელი შემდგომი განვითარება.

## 1.2 კომერციული ბანკები საქართველოში

საქართველო თავისი ისტორიის განმავლობაში ყოველთვის იყო მსოფლიო სავაჭრო გზების გასაყარზე, რაც საკრედიტო ურთიერთობების წარმოშობისათვის ნოყიერ ნიადაგს წარმოადგენდა. ჯერ კიდევ ძველი წელთაღრიცხვის მეექვსე საუკუნით თარიღდება პირველი ქართული მონეტა. ვითარდებოდა და იხვეწებოდა სავაჭრო და ფულად-საკრედიტო ურთიერთობები.

პირველი ქართული ბანკი საქართველოში 1875 წლის 28 ივნისს თბილისში ილია ჭავჭავაძის თაოსნობით დაფუძნდა, შემდეგ ქუთაისში 1876 წელს ნიკო ლოლობერიძის თაოსნობით. მაშინდელ ბანკს არამართო საკრედიტო-სადეპოზიტო ფუნქციები ჰქონდა, არამედ ის დიდ ეროვნულ საქმესაც აკეთებდა, აზნაური თავისივე ფულით თავისივე მიწას ჰყიდდა.

დღევანდელმა ქართულმა საბანკო სისტემამ არსებობა 1991 წელს დაიწყო. პოლიტიკური დამოუკიდებლობის მოპოვების შემდეგ ქვეყანაში ფეხს იკიდებს საბანკო პრინციპებზე დაფუძნებული ეკონომიკა. ქვეყნის წინაშე მდგარ უამრავ პრობლემათა შორის ერთ-ერთი ყველაზე ურთულესი და უმნიშვნელოვანესია მძლავრი, 11 კონკურენტუნარიანი, მოქნილი და საიმედო საბანკო სისტემის შექმნა, რამდენადაც ქვეყნის ეკონომიკის განვითარება მნიშვნელოვანწილად დამოკიდებულია საბანკო სისტემის მდგრადობასა და სტაბილურობაზე. საბანკო სფერო მოითხოვს სერიოზულ ყურადღებასა და მხარდაჭერას, რომ მან არ შეაფერხოს ქვეყნის ეკონომიკური კრიზისიდან გამოსვლის პროცესი და ეროვნული მეურნეობის დინამიური განვითარება. 1991 წლის აგვისტოსში ოპერატიულმა კანონმა საფუძველი ჩაუყარა საქართველოში ორიარუსიანი საბანკო სისტემის ჩამოყალიბებას და განსაზღვრა, თუ ვის და როგორ უნდა გენერაციელებინა ფულად-საკრედიტო ურთიერთობათა რეგულირება და რა როლი უნდა ეთამაშა ამ მიმართულებით საქართველოს ეროვნულ ბანკს. ქვეყნის ცენტრალურ ბანკს შექმნის პირველივე დღეებიდან ეწოდა „საქართველოს ეროვნული ბანკი“, რომელიც მძლავრ სახელმწიფოებრივ-ეკონომიკურ ინსტიტუტს წარმოადგენს.

დაიწყო საბანკო ლიცენზიების გაცემა, რამდენადაც პარადოქსული არ უნდა იყოს 1993 წლისათვის საქართველოში რეგისტრირებული იყო 250-მდე კომერციული ბანკი, საბანკო ლიცენზია სულ რაღაც 500\$-ად ფასობდა.

რაც შეეხება საქართველოს, ჩვენთან საბანკო სექტორის განვითარება რთული და წინააღმდეგობრივი მოვლენებით ხასიათდება, მხედველობაში გვაქვს საბაზრო ეკონომიკისთვის დამახასიათებელი რეფორმების მიმდინარეობის პროცესში, მართალია ნელი ტემპით, მაგრამ სულ უფრო მეტად მიმდინარეობს მართვის საბაზრო მექანიზმების წარმოშობა, მენარმეებისა და მოსახლეობის მნიშვნელოვანი ნაწილის საბაზრო ურთიერთობების პროცესში ჩართვა. წარმოების მოცულობის დაცემას, რაც საქართველოს დამოუკიდებლობის პირველ წლებში მიმდინარეობდა, ბუნებრივია თან ახლდა კომერციული ბანკების ლიკვიდური სახსრების მოცულობის მკვეთრი შემცირება. ყოველივე ამან თავის მხრივ გამოიწვია საწარმოო ფინანსური რესურსების შეზღუდვა და საინვესტიციო კრიზისის წარმოშობისათვის პირობების შექმნა. აღსანიშნავია ისიც, რომ საწარმოთა არათანაბარმა მაკროეკონომიკურმა სასტატო პირობებმა კომერციული ბანკები გაურკვეველ ვითარებაში ჩააყენა და ამიტომ ისინი იძულებულნი შეიქმნენ მორგებოდნენ სწრაფად ცვალებად ეკონომიკურ გარემოს, გამონახონ გზები ეკონომიკურ სიცოცხლისუნარიანობისა და გადახდისუნარიანობის შენარჩუნება, რადგან სტაბილური საბანკო სისტემა საფუძველია სტაბილური ეკონომიკური გარემოსთვის და პირიქით.

იმისათვის, რომ სწორად განვსაზღვროთ კომერციული ბანკების როლი საქართველოში საბაზრო ეკონომიკის მშენებლობის პროცესში, საჭიროა ყურადღების მიღმა არ დაგვრჩეს ის ჭეშმარიტება, რომ მეურნეობრიობის საბაზრო სისტემაზე გადასვლა არ შეიძლება წარმატებით განხორციელდეს, თუ ქვეყნის ეკონომიკა არ იქნება უზრუნველყოფილი ყველა ინსტრუმენტებით საქართველოს თავისებურებათა გათვალისწინებით.

საქართველოში დღეს მთლიანად გავლილი არ აქვს ბაზრებისათვის მოსამზადებელი ყველა ეტაპი, რაც გვაიძულებს სრულად გამოვიყენოთ დასავლეთის განვითარებულ ქვეყნებში გავლილი საბაზრო ეკონომიკის ისტორიული გამოცდილება, რომ ავიღოთ ყველაფერი საუკეთესო, რაც ჩვენი ქვეყნის თავისებურებებს მიესადაგება.

დღეს, საქართველოს საბანკო სისტემა ჯერ კიდევ სისტემური ტრანფორმაციის პირობებში იმყოფება და სახელმწიფო ცდილობს ჩამოაყალიბოს საბაზრო ურთიერთობათა სრულყოფილი მექანიზმები, რომელიც დაფუძნებული იქნება ჯანსაღი კონკურენტული გარემოს შექმნასა და რესურსებით მაქსიმალურად ეფექტურ გამოყენებაზე.

საქართველოს საბანკო სისტემის ტრანფორმირების პროცესი 1991 წლიდან დაიწყო, შეიქმნა სათანადო საკანონმდებლო და ნორმატიული ბაზა, რის შედეგადაც ჩამოყალიბდა ორსაფეხურიანი საბანკო სისტემა, ერთის მხრივ საქართველოს ეროვნული ბანკი, როგორც მონეტარული პოლიტიკის წარმართველი და საბანკო სისტემის მარეგულირებელი ორგანო (საკრედიტო კუთხით თუ შევხედავთ იგი მხოლოდ კომერციულ ბანკებს და მთავრობას აკრედიტებს),


2014 წელს კომერციული ბანკების წმინდა მოგებამ 475 მლნ ლარი შეადგინა, რაც წინა - 2013 წლის მაჩვენებელზე 22%-ით მეტია<sup>1</sup>. საქართველოში ფინანსური სექტორი ყველაზე განვითარებული და მზარდი სექტორია. გამორჩეული ამ მხრივ კი კომერციული ბანკებია, რომელთა ფინანსური მაჩვენებლებიც წლიდან წლამდე ზრდის ტენდენციით ხასიათდება. კომერციული ბანკების წმინდა მოგება სხვადასხვა ოპერაციებიდან მიღებული შემოსავლებით ფორმირდება, სადაც ყველაზე მნიშვნელოვანი პროცენტული (სესხებზე დარიცხული პროცენტები) შემოსავლებია. 2014 წლის იანვარ-დეკემბრის მონაცემებით კომერციული ბანკების პროცენტულმა

---

<sup>1</sup> საქართველოს ეროვნული ბანკის სტატისტიკური მონაცემები

შემოსავლებმა 1,763 მლნ ლარი შეადგინა, რაც წინა წლის ანალოგიურ მაჩვენებელთან შედარებით 8%-ით მეტია. თუ 2010-2015 წლებში ბანკების წმინდა მოგების დინამიკას გადავხედავთ ნათელი ხდება, რომ ტრენდი საკმაოდ არაერთგვაროვანია.

გრაფიკი 1.2.1. კომერციული ბანკების წმინდა მოგების დინამიკა 2010-2014 წლები.



გრაფიკიდან ნათელია, რომ 2012 წელი კომერციული ბანკებისთვის არც თუ ისე მომგებიანი იყო. უფრო მეტიც, 2012 წლის იანვარში ბანკები 7 მლნ ლარის ზარალი ნახეს. თუმცა 2012 წლის წმინდა მოგება 2013 წელს თითქმის გასამმაგდა და ზრდის მიმართულებით წავიდა. 2014 წელს საბანკო სექტორმა რეკორდული 475 მლნ ლარი წმინდა მოგება ნახა. წმინდა მოგების ზრდა პირდაპირპროპორციულად საკრედიტო პორტფელის ზრდაზეა დამოკიდებული. 2014 წლის დეკემბრის მდგომარეობით კომერციული ბანკების საკრედიტო პორტფელი 12,452 მლნ ლარს შეადგენდა, რაც წინა წლის მონაცემთან შედარებით თითქმის 25%-ით არის გაზრდილი. პორტფელის ზრდა მეტწილად უცხოურ ვალუტაში გაცემული სესხების ზრდით არის გამოწვეული, რადგან

2014 წლის მთლიანი პორტფელის ზრდაში უცხოურ ვალუტაში გაცემული სესხების ზრდას 54% უკავია. ეს იმაზე მიუთითებს, რომ დოლარიზაციის მაჩვენებელი 2014 წლის განმავლობაში ძირითადად ზრდისკენ მიდიოდა. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ 2014 წელს უცხოურ ვალუტაში სესხების პორტფელის საკმაოდ მაღალი ზრდა აღინიშნა, რადგან წინა წლების სტატისტიკას თუ გადავავლებთ თვალს, ვნახავთ რომ 2013 წელს 2012 წელთან შედარებით უცხოურ ვალუტაში გაცემული სესხების პორტფელი მხოლოდ 6%-ით არის გაზრდილი. რაც შეეხება 2015 წელს, 1 მარტის მდგომარეობით კომერციული ბანკების საკრედიტო პორტფელი 14,337 მლნ ლარს შეადგენს, რაც წინა წლის ანალოგიურ მაჩვენებელთან შედარებით 36%-ით მეტია. ამ მონაცემების მიხედვით გამოდის, რომ ეროვნული ვალუტის დევალვაციამ, განსაკუთრებული შემაფერხებელი როლი ვერ შეასრულა საკრედიტო პორტფელის ზრდაში. რადგან წინა წლების სტატისტიკას თუ გადავხედავთ, ვნახავთ რომ, 2012 და 2013 წლებში ზრდა მხოლოდ 13% და 20% იყო. აქვე უნდა აღვნიშნოთ, რომ პორტფელის ზრდას თავისი უარყოფითი მხარეც აქვს, რადგან საკრედიტო პორტფელის ზრდასთან ერთად სესხების გაპრობლემების რისკიც იზრდება. კერძოდ 2015 წლის 1 მარტის მდგომარეობით ვადაგადაცილებული სესხების მოცულობა წინა წლის ანალოგიურ პერიოდთან შედარებით 42 მლნ ლარით (16%-ით) გაიზარდა და პირველი მარტის მდგომარეობით ჯამში 305,646 მლნ ლარი შეადგინა. თუ გავითვალისწინებთ ეროვნული ვალუტის დევალვაციით გამოწვეულ პრობლემებს შეგვიძლია ვთქვათ, რომ ეს მაჩვენებელი მაღალია, რადგან 2014 წელს ის მხოლოდ 11%-ით გაიზარდა. რაც შეეხება იმას, თუ რომელ ვალუტაშია უფრო მეტი ვადაგადაცილებული სესხების მოცულობა, ამ მხრივ თითქმის თანაბარი მდგომარეობაა. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ისტორიულად, უცხოურ ვალუტაში გაცემულ კრედიტების შემთხვევაში ვადაგადაცილებული სესხების მოცულობა ეროვნულ ვალუტაში გაცემულ სესხებს ყოველთვის აჭარბებდა. 2015 წლის 1 მარტის მდგომარეობით, უცხოურ ვალუტაში გაცემული სესხების ვადაგადაცილების მოცულობა 159 მლნ ლარს შეადგენს, რაც 16%-ით აღემატება წინა წლის ანალოგიურ მაჩვენებელს. ეროვნულ ვალუტაში გაცემული სესხების ვადაგადაცილების მოცულობა - 146 მლნ


ლარია, რაც ასევე 16%-ით მეტია წინა წლის ანალოგიურ მაჩვენებელზე<sup>2</sup>. აქვე აღსანიშნავია ის ფაქტიც, რომ ეროვნულ ვალუტაში გაცემულ სესხებში ვადაგადაცილებები ძირითადად მოკლევადიან სესხებზე, ხოლო უცხოურ ვალუტაში გაცემული სესხების შემთხვევაში კი გრძელვადიანზე მოდის. გრძელვადიან სესხებში ვადაგადაცილების მოცულობა 97 მლნ ლარს შეადგენს, რაც 58%-ით მეტია მოკლევადიან სესხების მოცულობაზე. ეს მაჩვენებელი ისტორიულად ასეთი ტრენდით გამოირჩევა. ეს მიუთითებს იმაზე, რომ სავალუტო რყევები ეროვნული ეკონომიკის საკმაოდ მწვავე პრობლემას წარმოადგენს. რაც შეეხება კომერციული ბანკების დეპოზიტების მაჩვენებლებს, ამ მხრივ ლარის ვარდნამ მნიშვნელოვანი ცვლილებები გამოიწვია. მთლიანობაში დეპოზიტების პორტფელი, ისევე როგორც სესხების, წლიდან წლამდე ზრდით გამოირჩეოდა, თუმცა ეს ძირითადად ეროვნულ ვალუტაში დეპოზიტების მოცულობის ზრდით იყო გამოწვეული. ლარის დევალვაციის შედეგად, ეს მდგომარეობა შეიცვალა. 2015 წლის 1 მარტის მდგომარეობით დეპოზიტების ჯამური მოცულობა 13,348 მლნ ლარს შეადგენს, საიდანაც ეროვნულ ვალუტაში 4,714 მლნ ლარი, ხოლო უცხოურ ვალუტაში კი 8,633 მლნ ლარია. ისტორიულად უცხოურ ვალუტაში დეპოზიტების მოცულობა ეროვნულ ვალუტაში დეპოზიტების მოცულობას ყოველთვის ჭარბობდა, უფრო მეტიც, 2015 წლის იანვარში წინა თვესთან შედარებით თითქმის 400 მილიონიანი ზრდა აღინიშნება. ეს სავალუტო პანიკითაა გამოწვეულია, რაც ლარის დევალვაციას მოჰყვა. როგორც უკვე აღვნიშნეთ, ლარში დეპოზიტების მოცულობა მუდმივად იზრდებოდა, მაგრამ ლარის დევალვაციამ ამ მიმართულებით მნიშვნელოვანი კლება გამოიწვია. დეპოზიტების მოცულობამ უცხოურ ვალუტაში გადაინაცვლა, ანუ მოსახლეობის დიდმა ნაწილმა პანიკის შედეგად ლარში არსებული დეპოზიტები უცხოურ ვალუტაში გადაიტანა. ამ პერიოდისთვის უცხოურ ვალუტაში დეპოზიტების მოცულობა თითქმის 700 მლნ ლარით გაიზარდა, მაშინ როდესაც ბოლო

---

<sup>2</sup> nbg.gov.ge

თვეების საშუალო ზრდის მაჩვენებელი დაახლოებით 200 მლნ ლარი იყო. უფრო მეტიც 2014 ოქტომბერ-ნოემბერში უცხოურ ვალუტაში განთავსებული დეპოზიტების კლებაც კი დაფიქსირდა 125 მლნ ლარით, რაც ლარიზაციის კუთხით საკმაოდ კარგი მაჩვენებელია. შეგახსენებთ რომ, ეროვნული ეკონომიკის №1 გამონვევად დოლარიზაციის მაჩვენებლის შემცირება რჩება. ამ მიმართულებით ეროვნული ბანკი უკვე წლებია სხვადასხვა ღონისძიებებს ატარებს. დოლარიზაციის მაღალი მაჩვენებლის დამსახურებაა, რომ ლარის დევალვაციამ საკმაოდ სერიოზული პრობლემები გამოიწვია ეროვნულ ეკონომიკაში. ამ მონაცემების ანალიზის შედეგად შეგვიძლია ვთქვათ, რომ საბანკო სექტორი პრობლემების მიუხედავად აქტიურად ვითარდება და მისი ყველა ძირითადი ინდიკატორი სტაბილურობით გამოირჩევა. ყველაზე მნიშვნელოვანია, რომ დოლარიზაციის მაჩვენებელი ბოლო წლების განმავლობაში იკლებდა და ეროვნული ვალუტის დევალვაციამდე დაახლოებით 60%-ს შეადგენდა. სამწუხაროდ ლარის გაუფასურებამ, დოლარიზაციის მკვეთრი ზრდა გამოიწვია და დღეის მდგომარეობით დაახლოებით 63%-ს შეადგინა. ერთი შეხედვით 3% შეიძლება მცირედი იყოს, თუმცა რეალურად, ამ მაჩვენებლის თითოეული პუნქტით გაუმჯობესებისთვის წლების განმავლობაშია მუშაობა საჭირო.

გრაფიკი 1.2.2. დოლარიზაციის მაჩვენებელი



## **თავი II. მცირე მენარმეობა - მისი არსი და როლი ქვეყნის ეკონომიკაში და განვითარების გზები**

თანამედროვე საბაზრო სისტემა მეტად რთული და მრავალმხრივი ეკონომიკური მექანიზმია. იგი წარმოგვიდგება გაცვლით ურთიერთობებზე დამყარებულ სამეურნეო კავშირ-ურთიერთობათა ერთობლიობად, რომელიც გამოხატავს თავისუფალი მენარმეობის არსსა და ბუნებას, მის ფუძემდებლურ პრინციპებს და ის ფართოდ განვითარებულ საბაზრო ინფრასტრუქტურის, დანესებულებებისა და ორგანიზაციების: ბანკების, ბაზრების, სადაზღვევო ორგანიზაციების, საკონსულტაციო და საინფორმაციო მარკეტინგული ფირმებისა და სხვა ინსტიტუტების მეშვეობით ხორციელდება.

### **2.1 მენარმეობის არსი და მისი როლი ეკონომიკის განვითარებაში**

საბაზრო ურთიერთობათა სისტემის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი რგოლია ბიზნესი, რომელიც მეურნეობის ერთ-ერთი უძველესი სახეობაა. მენარმეობა საბაზრო ეკონომიკის შინაარსის განმსაზღვრელი ფენომენი და მამოძრავებელი ძალაა, მენარმე კი - საბაზრო ურთიერთობების წამყვანი სუბიექტი. ბიზნესი ინგლისურენოვანი ტერმინია.

მის სამშობლოდ ეკონომიკურ ისტორიაში აღიარებულია ა.შ.შ. დღეისათვის ეკონომიკურ ლიტერატურაში ბიზნესის უამრავი განმარტება არსებობს, თუმცა მკვლევართა უმრავლესობა თანხმდება ბიზნესის მამოძრავებელ მთავარ პრინციპზე - მოგების მიღებაზე.

ბიზნესმა თავისი ჩამოყალიბება-განვითარების ხანგრძლივი გზა განვლო და ამჟამად პიროვნების თვითგამოხატულებისა და თვითდამკვიდრების ერთ-ერთ ეფექტიან საშუალებად გვევლინება, ამასთანავე იგი მოსახლეობის ფართო ფენებისათვის მეურნეობრივი ნიჭისა და შესაძლებლობათა გამოვლენა-გამოცდის, საკუთარი მაღალ შემოსავლიანი საქმის წამოწყება-გაშლის ფართო სარბიელსა და მატერიალური კეთილდღეობის მიღწევის უმნიშვნელოვანეს წყაროს წარმოადგენს. არანაკლებ მნიშვნელოვანია ისიც, რომ ბიზნესი დიდად განსაზღვრავს ადამიანის ცხოვრების წესსა და ფასეულებათა სისტემას, ქმნის მისი თავისუფალი ქცევისა და აზროვნებისათვის მყარ მატერიალურ და სულიერ საფუძვლებს.

ბიზნესში, რომლის სინონიმად ინგლისურენოვან ლიტერატურაში მეწარმეობა გამოიყენება, უწინარესად ფიზიკური და იურიდიული პირების ისეთი ინიციატივანი, დამოუკიდებელი, ეკონომიკური საქმიანობა იგულისხმება, რომელიც საკუთარი ან ნასესხები სახსრებით, საკუთარი სახელით, რისკითა და ქონებრივი პასუხისმგებლობით ხასიათდება. მისი მიზანია ქონების სარგებლობით საქონლის წარმოებით, სამუშაოთა შესრულებითა და მომსახურების განვითარებით, სისტემატური შემოსავლის (მოგების მიღება), საკუთარი საქმიანობის შემდგომი განვითარება და გაფართოება.

ბიზნესი არის ინდივიდის, ინდივიდთა ჯგუფის ან სახელმწიფოს მხრიდან ისეთი ინდივიდუალური ან ჯგუფური სამეწარმეო საქმიანობა, რომელიც ეფუძვნება

თავისუფალი საბაზრო ეკონომიკის პრინციპებს, საკუთრებისა და მეურნეობრიობის ფორმების მრავალგვარობას<sup>3</sup>.

ბიზნესი ხორციელდება ეკონომიკური საქმიანობის სხვადასხვა სფეროში. იგი უზრუნველყოფს მრავალფეროვან პროდუქციის არსებობას ბაზარზე, საზოგადოებრივ მოთხოვნილებათა დაკმაყოფილებას და ცალკეული ინდივიდის, ინდივიდთა ჯგუფის ან თუნდაც სახელმწიფო სტრუქტურისათვის მოგების მიღების წყაროს წარმოადგენს.

ეკონომიკურ ლიტერატურაში განიხილება ბიზნესის 3 ძირითადი ფორმა: მცირე, საშუალო და მსხვილი ბიზნესი. თუმცა მსოფლიო ეკონომიკის გლობალიზაციამ შექმნა ბიზნესის სრულიად ახალი ფორმა - საერთაშორისო ბიზნესი ანუ გლობალური ბიზნესი, რაც ძირითადად ტრანსნაციონალური კორპორაციების სახით გვევლინება. თუმცა თემის სახელწოდებიდან გამომდინარე ჩვენ მცირე და საშუალო ბიზნესის ორგანიზაციულ სტრუქტურაზე, როლსა და მნიშვნელობაზე ვისაუბრებთ.

მცირე და საშუალო ბიზნესი, როგორც ტერმინი წარმოდგება არა იქედან, რომ იგი ერთობლიობაში ქმნის პროდუქციის მცირე რაოდენობას, არამედ იქედან, რომ მის ორგანიზაციულ ფორმას წარმოადგენს მცირე საწარმო, რომელიც წარმოების უძველესი ფორმაა. როგორც კატეგორია, პირველად ტერმინი “ მცირე ბიზნესი” პირველად 1931 წელს გამოიყენა ბრიტანეთის ფინანსთა მინისტრმა მ. მილანმა.

ეკონომიკურ ლიტერატურაში და სამეურნეო პრაქტიკაში დღეისათვის არ არსებობს ერთიანი შეხედულება მცირე საწარმოთა განმსაზღვრელი კრიტერიუმების შესახებ. ეკონომისტები გამოყოფენ რაოდენობრივ და თვისობრივ კრიტერიუმებს. რაოდენობრივ კრიტერიუმად მიჩნეულია: საწარმოებში დასაქმებულთა რიცხოვნობა, გამოშვებული პროდუქცია, ბრუნვა, ძირითადი კაპიტალი, მოგება და ა.შ. ყველა ქვეყანა თავისი სპეციფიკით უდგება მცირე საწარმოს ფუნქციონირების ფაქტორების

---

<sup>3</sup> Wikipedia.org - უფასო ონლაინ ენციკლოპედია

განსაზღვრას. მაგალითად: ევროკავშირის ქვეყნების მეთოდოლოგიით მცირე საწარმოდ ითვლება, სადაც დასაქმებულია 50-დე კაცი, წლიური ბრუნვაა საშუალოდ 3-4 მილიონი ევრო. საშუალო საწარმოდ ითვლება საწარმო, სადაც დასაქმებულია 50 დან 250-დე ადამიანი, წლიური ბრუნვა კი - 12-14 მლნ ევრო. აშშ-ში მცირე ბიზნესი მოიცავს მცირე საწარმოებს, სადაც დასაქმებულია 100 კაცამდე, საშუალო საწარმოებში – 500 კაცამდე. იაპონიაში მრეწველობის, მშენებლობის სფეროში 60000 აშშ დოლარით და 300-დე მომუშავეთ განსაზღვრავენ მცირე საწარმოს სტატუსს. საქართველოში ამჟამად, მცირე ბიზნესის სტატუსი შეიძლება მიენიჭოს მენარმე ფიზიკურ პირს, რომლის მიერ ეკონომიკური საქმიანობიდან მიღებული ერთობლივი შემოსავალი კალენდარული წლის განმავლობაში არ აღემატება 100 000 ლარს. აქედან გამომდინარე არსებობს კრიტერიუმები, რომელსაც ყველა ქვეყანაში აღიარებენ და იგი ყველა საერთაშორისო შედარებისას გამოიყენება. ეს არის მუშაკთა რიცხოვნობა. ცალკეულ ქვეყნებში, მცირე საწარმოთა კრიტერიუმები დიფერენცირებულია ეკონომიკის სხვადასხვა დარგების მიხედვით.

მცირე საწარმოების უპირატესობებია:

- ისინი უზრუნველყოფენ რესურსმზოგავი წარმოებების განვითარებას.
- ახორციელებენ ოპერატიულ მენეჯმენტს და ეკონომიას აღწევენ მმართველობით ხარჯებში.
- ახასიათებთ ძირითადი კაპიტალის განახლების, ახალი ტექნოლოგიების დანერგვის სისწრაფე.
- ვიწრო სპეციალიზაციის გზით ახერხებენ პროდუქციის ერთეულზე დანახარჯების მნიშვნელოვან შემცირებას, ე.ი. პროდუქტის მწარმოებულობის ზრდას.
- გააჩნიათ ადგილობრივი პირობების მიმართ სწრაფი ადაპტაციის უნარი.
- ახასიათებთ კაპიტალის სწრაფი ბრუნვადობა.

- გამოირჩევიან განხორციელებული ინვესტიციების გამოსყიდვის მოკლე ვადებით.
- უზრუნველყოფენ ახალი სამუშაო ადგილების შექმნას.
- ხასიათდებიან დასაქმებულ მუშაკთა მაღალი შრომითი და შემოქმედებითი აქტიურობით.

ამასთანავე მცირე და საშუალო ბიზნესს აქვს მთელი რიგი ნაკლოვანებები (მაგ; გაკოტრების მაღალი რისკი, ნაკლებ კონკურენტუნარიანობა და აშ.), რის გამოც ეკონომიკის ეს დარგი მხარაჭერას საჭიროებს სახელმწიფოს მხრიდან, რომელზეც თემის შემდგომ ნაწილში მოგახსენებთ.

მცირე საწარმოების წარმოქმნის 3 მთავარი გზა არსებობს:

- მათი დამოუკიდებლად წარმოშობა, როგორც სოციალურ- ეკონომიკურად აქტიური და შემოქმედებითად მოაზროვნე ადამიანების ინიციატივა და წამოწყება.
- სახელმწიფოს ან უფრო ხშირად კი სხვადასხვა საზოგადოებრივი ფონდების მხარდაჭერის საფუძველზე მცირე საწარმოთა წარმოქმნა და ფუნქციონირება, რაც უპირატესად ნაკარნახებია საზოგადოების დემოკრატიზაციის არსებობით.
- მსხვილი კორპორაციების მიერ მცირე საწარმოთა შექმნა, რომელიც ითვალისწინებს მსხვილი სტრუქტურების ეფექტიანობის ამაღლებას.

საბაზრო ეკონომიკაში მცირე და საშუალო მეწარმეობის როლი მათ ფუნქციებში ვლინდება. მცირე ბიზნესი ეკონომიკური საქმიანობის ერთ-ერთი ფორმაა და აქედან გამომდინარე მისი მნიშვნელოვანი ფუნქცია წარმოების ორგანიზაციაა, რაც თავის მხრივ შემდეგ მიმართულებებში გამოიყენება: ეკონომიკური სიტუაციების შეფასება, მოქმედების გეგმის შეფასება, ადმინისტრაციული მართვის ორგანიზაცია, გეგმის შესრულებაზე კონტროლი.

მცირე მენარმეობა ბაზრის კონკურენტული გარემოს შექმნის აუცილებელი პირობაა. ბაზრის დემონოპოლიზაცია მხოლოდ კონკურენტის არსებობის საფუძველზეა შესაძლებელი.

მსხვილი სტრუქტურები წარმოიქმნენ საზოგადოებრივი წარმოების განვითარების პროცესში წარმოების კონცენტრაციისა და ცენტრალიზაციის საფუძველზე. ისინი უმნიშვნელოვანეს როლს ასრულებენ მასობრივი მოთხოვნის სერიული მოხმარების პროდუქციის წარმოებაში. ამასთან თანამედროვე პირობებში საზოგადოებრივი წარმოებისათვის დამახასიათებელია საწარმოთა სპეციალიზაცია, მართვის დეცენტრალიზაცია, საკუთრების დაქსაქსვა. პროცესები, რომლებიც თავის მხრივ განაპირობებენ მცირე მენარმეობის განვითარების შესაძლებლობებსა და აუცილებლობას. გასათვალისწინებელია ის გარემოებაც, რომ მსხვილ წარმოებას არ შეუძლია ბაზრის ყველა ნიშის დაკავება და სწორედ ამ ნიშებს ავსებენ მცირე საწარმოები.

ზემოთ აღნიშნულიდან გამომდინარეობს მცირე და საშუალო საწარმოების კიდევ ერთი ფარული ფუნქცია:

- ა. საქონელსა და მომსახურებაზე მოსახლეობის გადახდისუნარიანი მოთხოვნილების დაკმაყოფილება.
- ბ. საზოგადოებრივი წარმოების განვითარებაში წარმოების ფაქტორთა ოპტიმალური ჩართვის უზრუნველყოფა.

განსაკუთრებით მნიშვნელოვანია მცირე საწარმოების როლი მეცნიერულ-ტექნიკურ პროგრესში, რასაც მათი ინოვაციური ხასიათი განაპირობებს. ნიშანდობლივია ის ფაქტიც, რომ მცირე საწარმოთა უმეტესი ნაწილი ისეთ მაღალტექნოლოგიურ წარმოებებში წარმოიქმნება, როგორცაა: ინფორმატიკა, ბიომეტრიკა, ტელეკომუნიკაციები.

მცირე და საშუალო მენარმეობის როლი და მნიშვნელობა საბაზრო ეკონომიკაში განსაკუთრებით რელიეფურად წარმოჩინდება მსოფლიო ეკონომიკაში ამჟამად დამკვიდრებული კანონზომიერებების ფონზე, უწინარეს ყოვლისა, იგულისხმება ეკონომიკის გლობალიზაცია.

გლობალური ეკონომიკა არის ეკონომიკა, რომელსაც შეუძლია მუშაობა მსოფლიო მასშტაბით როგორც მთლიან ორგანიზმს, რეალურ დროში ან დროის რომელიმე შერჩეულ მონაკვეთში.

გლობალური ეკონომიკის მატერიალური საფუძველია თვისებრივად ახალი ინფრასტრუქტურა. თანამედროვე ტექნოლოგიებისა და ტელეკომუნიკაციების (განსაკუთრებით ინტერნეტის) სახით, რომელიც საშუალებას იძლევა უმოკლეს დროში მოხდეს კაპიტალისა და ინფორმაციის გადაადგილება მსოფლიოს ერთი კუთხიდან მეორეში. თეორიულ საფუძველს წარმოადგენს საერთაშორისო საფინანსო-ეკონომიკური ინსტიტუტების მიერ გატარებული ლიბერალიზაციის პოლიტიკა.

ეკონომიკაში მცირე ბიზნესის მნიშვნელობის შეფასება უწინარესად მაკროეკონომიკურ მაჩვენებლებზე (მშპ, დასაქმებულთა რიცხოვნობა, ბიუჯეტის შემოსავლები და ხარჯები, იმპორტი, ექსპორტი, უმუშევრობა და აშ.) მისი გავლენის დადგენაში უნდა გამოიხატებოდეს. ამერიკელი სპეციალისტების თვალსაზრისით მცირე ბიზნესის მნიშვნელობა ეკონომიკაში გამოიხატება: სამუშაო ადგილების შექმნაში, ახალი ტექნოლოგიებისა და მომსახურების დანერგვაში, სპეციალიზებული საქონლითა და მომსახურებით უზრუნველყოფაში.

## 2.2 მცირე ბიზნესის ნაკლოვანებები და მათი მხარეები და ნაკლოვანებების აღმოფხვრის საშუალებები

წინა თავში ვისაუბრეთ მცირე და საშუალო ბიზნესის უპირატესობებზე, მათ როლზე ქვეყნის ეკონომიკურ განვითარებასა და ზრდაში, რომ განვითარებული მცირე და საშუალო ბიზნესი უზრუნველყოფს ქვეყნის მაკროეკონომიკური მაჩვენებლების სტაბილიზაციას (როგორცაა მაგალითად: ინფლაციისა და უმუშევრობის შემცირება,

მშპ-ს გაზრდა და აშ) თუმცა აუცილებელია აღინიშნოს ისიც, რომ მცირე და საშუალო ბიზნესს უპირატესობებთან ერთად აქვს ნაკლოვანებებიც, ძირითადად ესენია:

1) ამ ტიპის საწარმოებში მაღალია გაკოტრების მაჩვენებელი, თითქმის 50% მცირე საწარმოებისა იხურება მათი საქმიანობის დაწყებიდან პირველ ორ წელს, პრაქტიკამ აჩვენა რომ მცირე ბიზნესის მხოლოდ 15 %-ია წარმატებული;

2) მცირე და საშუალო საწარმოებისთვის დამახასიათებელია რესურსების ნაკლებობა, როგორც საკუთარის ასევე მოზიდულის, რადგანაც ბანკები და საკრედიტო ორგანიზაციები დაფინანსების თვალსაზრისით უფრო მეტად ენდობიან მსხვილ კორპორაციებს;

3) ფინანსური რესურსების სიმცირე განაპირობებს იმას, რომ ნაკლებად კონკურენტუნარიანები არიან, რაც გულისხმობს იმას, რომ მათ არ შეუძლიათ მრავალფეროვანი საქონელი აწარმოონ ბაზარზე. ჩამოთვლილი ნაკლოვანებები მიუთითებს იმაზე, თუ რამდენად აუცილებელია სახელმწიფოებრივი მხარდაჭერა ეკონომიკის ამ სექტორის განვითარებისთვის, სახელმწიფოს ჩართულობა მცირე და საშუალო ბიზნესის ზრდის უზრუნველყოფისათვის.

მცირე ბიზნესის სფეროში მაღალგანვითარებული ქვეყნების გამოცდილება გვიჩვენებს, რომ მცირე საწარმოები წარმატებით ფუნქციონირებენ და წამყვან მდგომარეობას იკავებენ კვლავწარმოებით სისტემაში მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ სახელმწიფოს მხრიდან შემუშავებულია მენარმეობის მხარდაჭერის ეფექტიანი ეკონომიკური პოლიტიკა და თანმიმდევრულად ხორციელდება იგი.

მცირე ბიზნესის, ისევე როგორც მთელი ბიზნესის ისტორია, გამოცდილება და თანამედროვე მდგომარეობა ნათლად ადასტურებს, რომ საბაზრო ურთიერთობების პირობებში ეკონომიკის უმნიშვნელოვანესი სფერო წარმატებით ვერ იფუნქციონირებს სახელმწიფოს მხრიდან აქტიური რეგულირების და მხარდაჭერის გარეშე. მცირე ბიზნესის განვითარება როგორც სახელმწიფო და საბაზრო მექანიზმებით რეგულირების

სრულყოფას, საბანკო საკრედიტო, საინვესტიციო, საგადასახადო პრობლემის გადაწყვეტას, ორგანიზაციული საკითხების მოგვარებას და აშ..

მცირე ბიზნესისთვის მხარდაჭერა უნდა განვიხილოთ, როგორც სახელმწიფოს ერთ-ერთი ცენტრალური ფუნქცია. ამასთან გამოიყოფა ორი ძირითადი ფორმა:

სახელმწიფომ სოციალ-ეკონომიკური რეგულირების მექანიზმებით უზრუნველყოს მცირე საწარმოების მომსახურება (რესურსების განაწილება, ფინანსური მხარდაჭერის და სხვათა გამოყენება), ე.ი უზრუნველყოს მცირე და საშუალო საწარმოების ფუნქციონირების ხელსაყრელი ეკონომიკური მომზადება. ამასთან ერთად, აუცილებელია ე.წ ორგანიზაციულ-მმართველობითი სანყისის ეფექტიანი გამოყენებაც, რაც უკავშირდება მცირე ბიზნესის საქმიანობის დაგეგმვას, ორგანიზაციულ-ადმინისტრაციულ მოქმედებას, კონტროლს.

ზოგიერთი მეცნიერი გამოყოფს რამდენიმე გზას, რომლითაც შესაძლებელი გახდება მცირე და საშუალო ბიზნესის განვითარების პრობლემის სრულად გაცნობიერება:

- 1) მცირე და საშუალო საწარმოების სიდიდის განსაზღვრა და მცირე ბიზნესის განვითარების ძირითადი მიმართულებების დასაბუთება.
- 2) უნდა განისაზღვროს მცირე საწარმოებისათვის მხარდაჭერის სახელმწიფო პროგრამების შემუშავების პრინციპები. გამოიყოფა ადგილობრივი, რეგიონალური, ცენტრალური, სახელმწიფოთაშორისო პროგრამები.
- 3) საგადასახადო ბეგარის განსაზღვრა ადგილობრივ და ფედერალურ დონეზე.
- 4) განათლების ორგანიზაცია -- მასში იგულისხმება მცირე ფირმების მართვის ეკონომიკური განათლება.
- 5) გამოკვლევების ორგანიზაცია \_ იგულისხმება მცირე და საშუალო საწარმოების შესწავლა.

იმისათვის, რომ მცირე ბიზნესის სახელმწიფო მხარდაჭერის სისტემა ეფექტიანი იყოს, საჭიროა იგი დაეფუძნოს მეცნიერულად დასაბუთებულ პრინციპებს, რომლებიც ადეკვატურად გამოხატავენ ეკონომიკის განვითარების მოცემული თავისებურებებს, ტენდენციებს. დიდი მნიშვნელობა ენიჭება მცირე და საშუალო ბიზნესის განვითარების მიზნის განსაზღვრას. იგი უნდა წარმოვიდგინოთ როგორც ეკონომიკის ამ სექტორის მიერ ეკონომიკური, სამეცნიერო-ტექნიკური, სოციალური და სხვა ფუნქციების სრულად შესრულება. მცირე ბიზნესის სახელმწიფო მხარდაჭერის სისტემის მთავარ პრინციპად აღიარებული უნდა იქნას: პროტექციონიზმი, როცა იგი შეხამებულია საბაზრო თვითრეგულირების თავისუფლებასთან. მხარდაჭერის პროგრესული-მიზნობრივი ხასიათი; მხარდაჭერის გარანტია და სახელმწიფო ორგანოების პასუხისმგებლობა და აშ..

მსოფლიო სამეურნეო გამოცდილებით აღიარებულია, რომ მცირე და საშუალო მენარმეობის განვითარების მიზნების, პრინციპებისა და მიმართულებების დაფიქსირება ხდება შესაბამის სახელმწიფო პროგრამებში. დიდი მნიშვნელობა აქვს იმას თუ როგორია მცირე მენარმეობის განვითარების საერთო პროგრამა, რომელიც ეკონომიკური პოლიტიკის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ნაწილია. მასში განსაზღვრულია მცირე ბიზნესის განვითარების მიზანი, როლი, ფუნქციები, მიმართულებები. ასეთი პროგრამა უნდა დაედოს საფუძვლად პრიორიტეტების გათვალისწინებით ეკონომიკის დარგებსა და რეგიონებში მცირე ბიზნესის განვითარების შესაბამისი პროგრამების შედგენას. აუცილებელი მოთხოვნები, რომლებიც უნდა დავიცვათ პროგრამების შედგენისას, შემდეგია: ეკონომიკის მდგომარეობის ობიექტური ანალიზი. პროგრამაში დეტალურადა უნდა იყოს განსაზღვრული მცირე ბიზნესის საგადასახადო, საკრედიტო და სხვა სახის შეღავათები, სახელმწიფო დაკვეთები, რომლებიც რესურსული უზრუნველყოფის და რეალიზაციის გარანტიას ქმნის.

აუცილებელია ისეთ საგადასახადო სისტემის ჩამოყალიბება, რომელიც მასტიმულირებელ ფუნქციას შეასრულებს მენარმეობის განვითარებისათვის.



## თავი III. კრედიტის როლი მცირე და საშუალო საწარმოების განვითარებაში და დაკრედიტების პრობლემები

### 3.1 კრედიტის როლი მცირე და საშუალო საწარმოების განვითარებაში

საკრედიტო სისტემა არის ფინანსურ საკრედიტო დანესებულებათა კომპლექსი, რომელსაც სახელმწიფო იყენებს ეკონომიკის განვითარებისათვის. იგი მონაწილეობს საზოგადოებრივი კვლავწარმოების ყველა რგოლის ფუნქციონირებაში, რამდენადაც უზრუნველყოფს დროებით თავისუფალი ფულადი საშუალებების მობილიზაციას და მათ პრაქტიკულ გამოყენებას მეურნეობრივ საქმიანობაში. თანამედროვე საკრედიტო სისტემა შედგება სხვადასხვა რგოლისაგან, რომლებიც ასრულებენ თითოეულისათვის დამახასიათებელ, სპეციფიკურ ფუნქციებს ფულადი საშუალებების აკუმულაციისა და განაწილების პროცესში.

საკრედიტო სისტემის ცალკეულ რგოლებს შორის ფუნქციების განაწილება ობიექტურად განპირობებულია მათი საქმიანობისათვის მეთოდებისა და საშუალებების განსხვავებულობითა და კვლავწარმოების პროცესში კაპიტალის სხვადასხვა როლით. თანამედროვე საკრედიტო სისტემა მოიცავს საფინანსო-საკრედიტო ინსტიტუტების სამ ძირითად ჯგუფს:

1. ცენტრალური (ეროვნული) ბანკი;
2. საბანკო სექტორი (კომერციული ბანკები);
3. სპეციალური არასაბანკო საკრედიტო-საფინანსო ინსტიტუტები.

ცენტრალურ ბანკს გამორჩეული ადგილი უკავია საკრედიტო სისტემაში. იგი, როგორც წესი, სახელმწიფო საკუთრებაშია და გამოიყენება ქვეყნის ეკონომიკის მაკროეკონომიკური რეგულირების მნიშვნელოვან ინსტრუმენტად. ცენტრალურ ბანკს კონსტიტუციითა და საკანონმდებლო აქტებით მინიჭებულ აქვს საგანგებო ფუნქციების შესრულება.

საბანკო

სექტორში შედის: კომერციული ბანკები, წარმოადგენენ საკრედიტო სისტემის ძირითად რგოლს. ისინი პრაქტიკულად ყველა სახის საბანკო ოპერაციებს ახორციელებენ. კომერციული ბანკების ისტორიულად ჩამოყალიბებულ ფუნქციებს წარმოადგენენ: ანაბრების მიღება, სამრეწველო და სავაჭრო ორგანიზაციების დაკრედიტება, მათ შორის ანგარიშწორების განხორციელება და სხვ. შემნახველი ბანკები (აშშ-ში ურთიერთშემნახველი ბანკები, გერმანიაში - საშემნახველო სალაროები), როგორც წესი, ადგილობრივი დანიშნულების საშუალო საკრედიტო დაწესებულებებია, რომლებიც ეროვნულ ასოციაციებში ერთიანდებიან და ჩვეულებრივად სახელმწიფოს მიერ კონტროლირდებიან, ხშირ შემთხვევაში მის საკუთრებას წარმოადგენენ. შემნახველი ბანკების პასიური ოპერაციები მოსახლეობიდან მიმდინარე და სხვა ანგარიშებზე ანაბრების მიღებას მოიცავს. აქტიური ოპერაციები წარმოადგენილია სამომხმარებლო და იპოთეკური კრედიტებით, საბანკო სესხებით, სახელმწიფო და კერძო ფასიანი ქაღალდების შექენით. შემნახველი ბანკები ასევე საკრედიტო ბარათების გამოშვებას ახორციელებენ; საინვესტიციო ბანკები (დიდ ბრიტანეთში - საემისიო სახლები, საფრანგეთში - საქმიანი ბანკები), სპეციალიზირდებიან საემისიო-სადამფუძვნებლო ოპერაციებზე. იმ საწარმოების ან სახელმწიფოს დავალებით, რომელთაც გრძელვადიანი დაბანკები სჭირდებათ და აქციებისა და ობლიგაციების გამოშვებას ახორციელებენ. საინვესტიციო ბანკები დაბანდების მოცულობის, პირობის, ემისიის ვადის, ფასიანი ქაღალდების ტიპის შერჩევის განსაზღვრას, აგრეთვე მათი განთავსებისა და მეორადი მიმოქცევის ორგანიზაციის ვალდებულებებს იღებენ საკუთარ თავზე.

მცირე და საშუალო საწარმოების ფუნქციონირების ამ რთულ და მეტად წინააღმდეგობრივ პროცესში იკვეთება საწარმოს მიერ მოზიდული ფინანსური სახსრების, მათ შორის კი განსაკუთრებით – კრედიტის როლი. კრედიტი მჭიდროდ არის დაკავშირებული საწარმოთა წრებრუნვასთან და მისი განხორციელების ერთ-ერთ იარაღს წარმოადგენს. წრებრუნვის პროცესში სახსრები პერიოდულად ღებულობს ფულად ფორმას და ამის გამო, საწარმოთა სახსრების გარკვეული ნაწილი მუდმივად ფულად ფორმაშია. საწარმოთა ფულადი სახსრების მოცულობა მერყეობს სახსრების შემოსავლისა და მათი ამა თუ იმ საჭიროებისათვის ხარჯვის ვადების მიხედვით. ამასთან აღსანიშნავია, რომ სახსრების შემოსავლისა და ხარჯვის ვადები ერთმანეთს არ ემთხვევა, ამიტომ წრებრუნვის პროცესში საწარმოებს აუცილებლად წარმოეშვება დროებით საჭიროება დამატებით ფულად სახსრებზე, რომელიც აუცილებელია სხვადასხვა მნიშვნელოვანი ამოცანების გადასაჭრელად. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ კრედიტის საჭიროება მცირე და საშუალო საწარმოებში უფრო იგრძნობა, იმ უბრალო მიზეზის გამო, რომ შედარებით მსხვილ საწარმოო სუბიექტებს დამატებით ფულადი სახსრების მოძიების სხვა ალტერნატიული გზებიც გააჩნიათ (მაგალითად, აქციების ან ობლიგაციების გაყიდვა), ხოლო მცირე და საშუალო საწარმოებს ფინანსური რესურსის მოზიდვის ერთ-ერთი თუ არა ერთადერთი წყარო კრედიტია.

### 3.2 კომერციული ბანკის როლი მცირე და საშუალო ბიზნესის განვითარებაში და დაკრედიტების პრობლემები

კრედიტის მნიშვნელობასთან ერთად იზრდება კომერციული ბანკების, როგორც ძირითადი საკრედიტო რესურსის მქონე ეკონომიკური სუბიექტის როლი და მნიშვნელობა, მცირე და საშუალო ბიზნესის განვითარებაში. მართალია კრედიტის გამცემი სხვა სუბიექტებიც არსებობს (მაგალითად, მიკრო-საკრედიტო ორგანიზაციები და თავად სახელმწიფოც), მაგრამ მათი წილი ეკონომიკის მთლიან დაკრედიტებაში ძალიან მცირეა. კომერციული ბანკები საბაზრო ეკონომიკის ცენტრალურ რგოლს წარმოადგენს, საბანკო სისტემის სტაბილური ფუნქციონირება, რაც გულისხმობს იმას, რომ კომერციულმა ბანკმა სრულად შეძლოს თავისი ფუნქციების შესრულება, საერთო ეკონომიკური მდგომარეობის სტაბილურობის უზრუნველყოფის მნიშვნელოვანი ფაქტორია.

თანამედროვე პირობებში საკრედიტო დანესებულებები გარდაუვლად აღმოჩნდებიან სამეურნეო ცხოვრების ცენტრში და წარმოადგენენ საბაზრო ეკონომიკის უმნიშვნელოვანეს რგოლს, დროებით თავისუფალი ფულადი სახსრების აკუმულაციას, რომელსაც კომერციული ბანკები ახდენენ საკრედიტო სისტემის არხებით, უპირატესად მიმართავენ ეკონომიკის ყველაზე დინამიკურ და მომგებიან სანარმოებსა და დარგებში და ხელს უწყობენ ეროვნული ეკონომიკის სტრუქტურულ გარდაქმნებს. მსოფლიოში უდიდეს განვითარებული ქვეყნების ეკონომიკური ზრდის მიღწევაში განსაკუთრებულ როლს ნასესხები საშუალებები ახორციელებს, ამ საქმეში ლომის წილი კი სწორედ კომერციულ ბანკებს მიუძღვის.

საკრედიტო სისტემის მთავარ რგოლს საბანკო სისტემა წარმოადგენს, რომელიც თავს უყრის მრავალრიცხოვან საკრედიტო და საფინანსო ოპერაციებს. ქვეყნის

თანამედროვე საკრედიტო სისტემები მოიცავს აგრეთვე, არასაბანკო საფინანსო ინსტიტუტებს, თუმცა ფინანსური რესურსების დიდი ნაწილი უმთავრესად კომერციულ ბანკებში იყრის თავს, რომელიც შემდგომ კრედიტების სახით მიემართება ქვეყნის ეკონომიკაში.

კომერციული ბანკები, ასრულებენ რა დროებით თავისუფალი ფულადი სახსრების მობილიზაციის ფუნქციას და გარდაქმნიან მათ სასეხო კაპიტალად, ამით აკუმულაციას უკეთებენ ფულად შემოსავლებს და დანაზოგებს ანაბრების სახით, რომელიც რა თქმა უნდა ისევ ეკონომიკაში ბრუნდება და ახალი კაპიტალის, დოვლათის შექმნაში იღებს მონაწილეობას. კომერციული ბანკების ფუნქციონირება ფულადი კაპიტალის აკუმულაციისა და მობილიზაციის სახით უდიდესი სარგებლობის მომტანია ყველა დაინტერესებული მხარისათვის და საერთოდ ეროვნული ეკონომიკის ზრდისათვის.

საკრედიტო ფულის მიმოქცევის პირობებში არამართო იურიდიული პირების, არამედ ფიზიკური პირების უმეტესი ნაწილი ერთდროულად წარმოადგენენ როგორც მსესხებლებს, ისე კრედიტორებს.. მოსახლეობა ხდება, როგორც წესი “ბოლო კრედიტორად, ანუ მისი დანაზოგები წარმოადგენს დაგროვების უმნიშვნელოვანეს წყაროს, როგორც კერძო საწარმოებისათვის, ისე სახელმწიფოსათვისაც, ხოლო კომერციულ ბანკებს ამ პირობებში ერთი-ერთი უმნიშვნელოვანესი, შუამავლის როლი აკისრია.

თანამედროვე დაკრედიტების სისტემა წარმოადგენს უფრო ლიბერალურს, როცა კლიენტი ბანკზე მიმაგებული კი არ არის, არამედ თავად ირჩევს საკრედიტო დაწესებულებას, რომლის მომსახურებაც მას სურს. საბანკო დაკრედიტების გარდამავალი სისტემა არსებითად კვლავ აწარმოებს გარდამავალი პერიოდის ეკონომიკის მართვას ცენტრალიზაციიდან დეცენტრალიზაციისაკენ, საფუძველს უყრის მეწარმეობის განვითარებას როგორც მეურნეობაში, ისე საბანკო სფეროში.

საწარმოებისა და ორგანიზაციების დაკრედიტების გარდამავალი სქემა ასახავს რა გარდამავალი პერიოდისათვის დამახასიათებელ წინააღმდეგობებს, მაინც ინარჩუნებს

ერთ-ერთ მნიშვნელოვან თვისებას. იგი აგებულია დაკრედიტების უნიფიცირებულ სქემის პრინციპზე.

თანამედროვე საკრედიტო სისტემაში კომერციულ ბანკებში გამოდიან რა ფინანსური შუამავლის როლში, ფუნქციონირების პროცესში ქმნიან ახალ-ახალ მოთხოვნებსა და ვალდებულებებს, რომლებიც ფულად ბაზარზე საქონლად გარდაიქმნება. კომერციულ ბანკების ფინანსური შუამავლობის არსი მდგომარეობს იმაში, რომ ახალი ვალდებულებების შექმნისა და მათ სხვა კონტრაგენტების ვალდებულებებზე გაცვლის პროცესი და სხვადასხვა წყაროებიდან ფულადი სახსრების აკუმულაცია გამორიცხავს მენაბრეებისა და მსესხებლების პირდაპირ კონტაქტებს და ამით არეგულირებს მათი ინტერესების შეთანხმებას.

კომერციულო ბანკებს ცენტრალური ადგილი უკავია იურიდიული და ფიზიკური პირების, აგრეთვე სახელმწიფოს დაკრედიტებაში. მათ სამართლინად უწოდებენ “ქვეყნის ფინანსურ სუპერმარკეტს”, იმის გამო, რომ ბანკების აქტიურ ოპერაციებს ახასიათებს დივერსიფიკაციის მაღალი დონე. კომერციულ ბანკები აგრეთვე “საშუალო რგოლს” წარმოადგენს ცენტრალური ბანკებისა და სხვა დანარჩენ საბანკო სპეციალიზირებულ საკრედიტო დანესებულებებს შორის. ისინი რიგ ქვეყნებში (მაგ. იაპონიაში, ფინეთსა და ა.შ.შ-ში) ახორციელებენ 100-ზე მეტ ოპერაციებს.

კომერციული ბანკის საკრედიტო რესურსის ძირითადი წყაროა აკუმულირებული, თავისუფალი ფულადი სახსრები, რომელსაც კომერციული ბანკი გადააქცევს “მუშა” ფულად სახსრებად, რითაც ეკონომიკას ამარაგებს დამატებითი, ესოდენ აუცილებელი ფულადი რესურსებით. ამ მხრივ კომერციული ბანკი სპეციფიკური ინსტიტუტია, რომელიც ახორციელებს თავისუფალი ფულადი სახსრების აკუმულირებას და ქმნის მატერიალურ წარმოებაში დამზადებული დოვლათის მომხმარებლამდე დაყვანის პირობებს და ემსახურება საქონლის წარმოებასა და გაცვლას. ეს გულისხმობს მრავალი კონკრეტულ ამოცანათა გადაჭრას, ურომლისოდაც ეკონომიკას ფუნქციონირება არ შეუძლია. ყოველივე ამის

გათვალისწინებით იცვლება და განისაზღვრება ბანკის როლი ეკონომიკურ სისტემაში. სწორედ თავისუფალი ფულადი სახსრების აკუმულაცია არის სასესხო კაპიტალის შექმნის წყარო.

საკრედიტო პროცესის ორგანიზებაში განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება საბანკო კრედიტის ფასის განსაზღვრას. ფული საკრედიტო რესურსის სახით წარმოადგენს ყიდვა-გაყიდვის ობიექტს, რომელსაც თავისი ფასი გააჩნია, რისი სახითაც გამოდის საბანკო სარგებელი (პროცენტი). იგი წარმოადგენს ფულის განსაზღვრულ თანხას, რომელსაც კრედიტორი ღებულობს მოსესხისაგან (ამ შემთხვევაში კომერციული ბანკისაგან). სარგებლის განაკვეთის სიდიდესა და დინამიკაზე ზეგავლენას ახდენენ როგორც საერთო მაკროეკონომიკური ფაქტორები, ისე მიკროეკონომიკური, რომლებიც დამოკიდებულნი არიან საკრედიტო პროცესის მონაწილეებზე. უნდა აღინიშნოს, რომ ძვირი საკრედიტო რესურსი უარყოფით გავლენას ახდენს მცირე ბიზნესის განვითარებაზე და არაკონკურენტუნარიან გარემოში აყენებს მას, რადგანაც ძვირად “ნაყიდი” ფული, რომელსაც ის აბანდებს წარმოებაში აიძულებს მენარმეს გააძვიროს მის მიერ წარმოებული საქონელი თუ მომსახურება, რაც ძირითადი შემთხვევებში ავტომატურად გულისხმობს ამ საქონელზე მოთხოვნის შემცირებას.

საკრედიტო პროცესის მატერიალური საფუძველია მთლიანი ეროვნული პროდუქტის წარმოების პროცესი, მაშასადამე, მისი გაფართოება ან შემცირება განსაზღვრავს საბაკო რესურსებზე მოთხოვნასა და მიწოდებას, კომერციული ბანკის ოპერაციათა ზრდას ან შემცირებას, თავის მხრივ კომერციული ბანკები საწარმოთა და მოქალაქეთა თავისუფალი ფულადი კაპიტალების აკუმულირებით და მათი ტრანსპორტირებით გარდამქნიან სასესხო კაპიტალებად და მათი გადანაწილებით უზრუნველყოფენ კაპიტალთა გადადენას ეკონომიკის ერთი დარგიდან მეორეში, რაც უზრუნველყოფს მთლიანად ეკონომიკის ფუნქციის ეფექტიანობის ამაღლებას.

გარდამავალი ეკონომიკისთვის უნივერსალურია კომერციული ბანკის მოდელი, რომელსაც მჭიდრო კავშირები აქვს საწარმოებთან, უფრო მეტიც, გადარჩენისა და

განვირების პერსპექტივები გააჩნიათ მხოლოდ იმ ბანკებს, რომლებიც ფინანსურ ბაზარზე ოპერაციითა პარალელურად სამრეწველო სანარმოთა დაკრედიტების ოპერაციებს ახორციელებენ და ამრიგად, წარმოებასთან დაკავშირებულნი აღმოჩნდებიან. უნივერსალური კომერციული ბანკები ფართოდ უნდა ასრულებდნენ ნებისმიერ საბანკო ოპერაციებს და რაც ყველაზე მთავარია, შეეძლოთ გონივრულად განკარგონ თავიანთი რესურსები.

გარდამავალი ეკონომიკის პირობებში მთავარ პრობლემად რჩება ეკონომიკის რეალური სექტორის დაკრედიტება. საფინანსო და რეალური სექტორი ერთმანეთისგან ფაქტორივად მონყვეტილია და თითოეული მათგანი საკუთარ რეჟიმში ფუნქციონირებს ფულის ნაკადები უმთავრესად, მიედინება არა რეალურ სექტორში, არამედ ფინანსურ სექტორში და ხშირ შემთხვევაში, სპეკულაციურ ოპერაციებს უწევს მომსახურებას. რეალური სექტორი კი განიცდის “ფულის შიმშილს”. აღნიშნული განპირობებულია იმით, რომ რეალური სექტორის დაკრედიტება დაკავშირებულია დიდ რისკთან, უფრო კონკრეტულად, ეკონომიკის რეალური სექტორის, კერძოდ კი მწარმოების დაკრედიტების მასშტაბების სიმცირესთან, რასაც ერთის მხრივ, ფინანსური რესურსების სიმცირე, ხოლო მეორეს მხრივ ამ სექტორში არსებული არასახარბიელო მდგომარეობა განაპირობებს. კერძოდ, მცირე სანარმოების დიდი ნაწილი ამორტიზირებულია, მოძველებულია, შესაბამისად მათ არ შეუძლიათ აწარმოონ კონკურენტუნარიანი საქონელი თუ მომსახურება, რაც ნაკლებად მიმზიდველს ხდის კომერციული ბანკების მხრიდან მათ დაკრედიტებას. ამ პრობლემას ემატება ისიც, რომ კომერციული ბანკები ჯერ კიდევ ერიდებიან მცირე და საშუალო ბიზნესის გრძელვადიან დაკრედიტებას, რაც გამომწვეულია 4 ძირითადი მიზეზით:

- 1) ფინანსური რისკი – არარენტაბელურ სანარმოში დიდია სესხის გადახდისუნარობით გამომწვეული რისკი;
- 2) მოკლევადიანი დაკრედიტებისას ფულის ბრუნვის სიხშირე უფრო მეტია, ვიდრე გრძელვადიანი დაკრედიტებისას; ამიტომ კომერციული ბანკები ამჯობინებენ უფრო

სწრაფად აბრუნონ შეზღუდული ფინანსურ რესურსები ვიდრე დააბანდონ ის გრძელვადიან აქტივებში.

3) მოზიდული სახსრების, კერძოდ კი დეპოზიტების ნაკლებვადიანობა, რისი გამომწვევი ძირითადი მიზეზია ნდობის ნაკლებობა საბანკო სექტორის მიმართ;

4) ეკონომიკური და პოლიტიკური არასტაბილურობა – განვითარებადი ქვეყნების უმეტეს ნაწილში და მათ შორის საქართველოშიც არსებული პოლიტიკური და ეკონომიკური მდგომარეობა, რაც მკვეთრად უარყოფითად აისახება ბიზნესზე; ზოგადად, ამ ქვეყნების ეკონომიკაზე;

დღეისათვის საქართველოში კომერციული ბანკების საკრედიტო პოლიტიკა ნაკლებად უწყობს ხელს ეკონომიკის განვითარებას. ეს განპირობებულია იმით, რომ ძირითადად გაიცემა მოკლევადიანი კრედიტები სავაჭრო - საშუამავლო ოპერაციებისათვის. როგორც პრაქტიკა გვიჩვენებს, ბანკების კრედიტების საერთო მოცულობაში ძალიან მცირე ხვედრითი წილი უკავია გრძელვადიან სესხებს ინვესტიციებზე, საწარმოთა დაკრედიტებაზე. სამწუხაროდ, ბანკები სუსტად უჭერენ მხარს მცირე ბიზნესს. სტატისტიკური მონაცემების, სწორედ ზემოთხსენებულ პრობლემებზე მეტყველებენ. კრედიტის საშუალო ვადიანობა 15 თვემდე მერყეობს, ხოლო მცირე და საშუალო ბიზნესზე გაცემული სესხების წილი კომერციული ბანკების მთლიან საკრედიტო პორტფელში მხოლოდ 21%-ია<sup>4</sup>.

---

<sup>4</sup> ეროვნული ბანკი

### 3.3 კომერციული ბანკების საკრედიტო პროდუქტები მცირე და საშუალო ბიზნესისთვის

საქართველოს საკრედიტო ბაზარზე კომერციული ბანკები ძირითადად გასცემენ სესხებს შემდეგი მიზნებისთვის: საბრუნავი კაპიტალის ფინანსირება, ძირითადი საშუალებების ფინანსირება, საკრედიტო ხაზი, ვაჭრობის ფინანსირება, ადგილობრივი კაპიტალის ბაზარი, აგრო სესხი. მოკლედ განვიხილოთ თითოეული მათგანი.

#### საბრუნავი კაპიტალის ფინანსირება

პრაქტიკულად ყველა წამოწყებას, მისი ზომისა და სახეობისაგან დამოუკიდებლად, ესაჭიროება საოპერაციო ლიკვიდობა, რათა დააკმაყოფილოს ყოველდღიური მოთხოვნა ფულად სახსრებზე, შეინარჩუნოს მიმდინარე ფინანსური მაჩვენებლები და შექმნას კომპანიის მდგრადი განვითარების საფუძველი. ბანკები გასცემენ სესხს შემდეგი მიზნებით.

- მარაგის გაზრდა
- ინვენტარისა და სანარმოო მასალების შესყიდვა
- საოპერაციო კრედიტორული დავალიანების დაფარვა

- დებიტორული დავალიანების ფინანსირება

### **ძირითადი საშუალებების ფინანსირება**

გრძელვადიანი მიღწევებისა და კეთლდღეობისთვის, ღროგამოშვებით ყველა ბიზნესს უწევს ძირითად საშუალებებში ინვესტირება: ახალი მოწყობილობების შეძენა, ძველის გაუმჯობესება ან გამოცვლა, უძრავი ქონების შესყიდვა. მაგალითად:

- ახალი დანადგარების შეძენა
- სატრანსპორტო საშუალებების შეძენა
- არსებული ძირითადი საშუალებების განახლება
- ბიზნესისთვის მიწის შეძენა და მშენებლობის დაწყება

### **საკრედიტო ხაზი**

საკრედიტო ხაზი – ამ ტიპის საკრედიტო პროდუქტით ძირითადად სარგებლობენ ის კლიენტები, რომლებსაც აქვთ თანხის ბრუნვა ანგარიშებზე. საკრედიტო ხაზი არსით კრედიტია, რომლის დათვარვა და ათვისება შესაძლებელია ნებისმიერ მომენტში, ამავე დროს აღსანიშნავია, რომ პროცენტი როგორც ათვისებულ ისე აუთვისებელ თანხას ერიცხება (აუთვისებელ თანხაზე, როგორც წესი წლიური 2%-ა). კომპანიის ოპერირების სეზონურობა, მოკლევადიანი წყვეტა საოპერაციო ფულადი სახსრების შემოდინებაში, ინვენტარის შესყიდვის მოულოდნელი აუცილებლობა - მზარდი ბიზნესის ამ და სხვა მოკლევადიანი საჭიროებების დასაფინანსებლად სწრაფი, მოქნილი და მარტივად ასათვისებელი საკრედიტო ხაზები გამოიყენება. საკრედიტო ხაზის საშუალებით შეგიძლიათ:

- ოპერატიულად მოაგვაროთ მოკლევადიანი ფულის დეფიციტი
- პერიოდულად აითვისოთ და დათვაროთ სესხი ბიზნესის საჭიროებებიდან გამომდინარე

- დაათინანსოთ საბრუნავი საშუალებების სემონური ზრდის მოთხოვნა
- დაზოგოთ საპროცენტო სარგებელი

### **უგირავნო ბიზნეს-სესხი**

ბიზნესს ყოველთვის ესაჭიროება ფულადი სახსრები საბრუნავი საშუალებებისთვის, ინვესტირება როგორც ძირითადი საშუალებების შეძენა–განახლებისთვის, აგრეთვე სხვადასხვა ვალდებულებების შესასრულებლად.

უგირავნო ბიზნეს სესხი გულისხმობს მცირე და საშუალო ზომის კომპანიების და ფიზიკური პირების დაფინანსებას 20,000 ლარამდე სესხებით გირაოს გარეშე. აღნიშნული დაკრედიტების მიზანია, ხელი შეუწყოს ბიზნესის განვითარებასა და ფინანსურ სტაბილურობას, უზრუნველყოს მისი საბრუნავი სახსრების და ფიქსირებული აქტივების ფინანსირება, კომპანიის პროფილის გაფართოება, დაეხმაროს მსესხებელს განახორციელოს ინვესტიციები სხვა მიმართულებებში/ბიზნესებში, ხელი შეუწყოს კომპანიის მფლობელების მატერიალურ კეთილდღეობას.

უგირავნო ბიზნეს სესხის გამოყენებით თქვენ შეძლებთ:

- საბრუნავი საშუალებების შევსებას;
- ძირითადი საშუალებების შეძენა–განახლებას;
- სხვადასხვა ვალდებულებების გასტუმრებას;
- ინვესტირებას ბიზნესის გაჯანსაღებისთვის, ნებისმიერი მიზნით.

### **გირაოიანი ბიზნეს-სესხი**

ბიზნესს ყოველთვის ესაჭიროება ფულადი სახსრები საბრუნავი საშუალებებისთვის, ინვესტირება როგორც ძირითადი საშუალებების შეძენა–განახლებისთვის, აგრეთვე სხვადასხვა ვალდებულებების შესასრულებლად.

გირაოიანი ბიზნეს სესხი გულისხმობს როგორც მცირე და დიდი ზომის კომპანიების, ასევე ფიზიკური პირების დაფინანსებას 6,000 ლარიდან 119,000 ლარამდე გირაოთი უზრუნველყოფილი სესხებით. მისი მიზანია კლიენტებისთვის ფინანსური სახსრების უგირავნო სესხთან შედარებით, უფრო დაბალ პროცენტში მიწოდება. აღნიშნული დაკრედიტება დაეხმარება მსესხებელს გააფართოვოს საქმიანობა ან განახორციელოს ინვესტიციები სხვა მიმართულებებში/ბიზნესებში.

ბიზნეს სესხის გამოყენებით თქვენ შეძლებთ:

- საბრუნავი საშუალებების შევსებას
- ძირითადი საშუალებების შეძენა-განახლებას
- სავადასხვა ვალდებულებების დაფარვა/ფინანსირება

### **აგრო სესხი**

სხვა ბიზნესისგან განსხვავებით აგრობიზნესი სპეციფიკურია და მოითხოვს ინდივიდუალურ მიდგომას. აგრობიზნეს განსაკუთრებით ესაჭიროება სესხის გადახდის მოქნილი გრაფიკი.

აგროსესხი განკუთვნილია აგროსექტორში მომუშავე პირებისთვის. აგროსესხის ფარგლებში შესაძლებელია როგორც ფიზიკურ, ასევე იურიდიულ პირებზე 100 ლარიდან 170,000 ლარამდე სესხების უზრუნველყოფით ან უზრუნველყოფის გარეშე გაცემა. აგროკლიენტს შეუძლია აღნიშნული პროდუქტით გააუმჯობესოს ბიზნესის შესაძლებლობები, ან გამოიყენოს საკუთარი სამომხმარებლო მიზნებისათვის.

სესხის გაიცემა შესაძლებელია როგორც საბრუნავი საშუალებებისთვის, ძირითადი საშუალებებისთვის, ვალდებულებების გადაფარვისთვის, აგრეთვე მოსავლის მოსაყვანად და შერეული (არასამომხმარებლო) მიზნობრიობით.

აგროსესხის გამოყენებით თქვენ შეძლებთ:

- სწორად დაგეგმვით სეზონის მიხედვით შესასრულებელი ვალდებულებები;
- შეიძინოთ სათესლე საშუალებები და აგრო ბიზნესისათვის განკუთვნილი ხელსაწყო-დანადგარები;
- გადაფაროთ სავადასხვა (არასამომხმარებლო) ვალდებულებები;
- აგრეთვე შესაძლებელია 20,000 ლარის ფარგლებში ისარგებლოთ აგროსესხით, გირაოს გარეშე.

სწრაფი მიკროსესხი, მიკრო სესხი, მცირე და საშუალო სესხები, ოვერდრაფტი, საკრედიტო ხაზი, საბანკო გარანტია, ფინანსური ლიზინგი.

**სტანდარტული ბიზნეს სესხი** სესხის გაცემის პროცედურა მოიცავს ბანკის წარმომადგენლის – საკრედიტო ექსპერტის მიერ ბიზნესის ადგილზე გაცნობას, ამ ბიზნესის ფინანსური მდგომარობის შესწავლას და აღნიშნული მონაცემების საფუძველზე ბანკის თუ საკრედიტო ორგანიზაციის საკრედიტო კომიტეტის მიერ გადაწყვეტილების მიღებას დაფინანსება-არ დაფინანსების თაობაზე. სტანდარტული ბიზნეს-სესხი გაიცემა ათ წლამდე ვადით, 500-დან 1 300 000 ლარამდე (ეკვ. სხვა ვალუტაში)<sup>5</sup>.

**ოვერდრაფტი**- სესხი, რომლის აღება მიზანშეწონილია ერთჯერადი ოპერაციის შესრულებისას, მაგალითად კონკრეტული საქონელი პარტიის შექმნისას, რომლის რეალიზაციისთანავე კრედიტი დაიფარება, ოვერდრაფტი მოკლევადიანია, ვადა 1-დან 3 თვემდე მერყეობს.

**ფინანსური ლიზინგი** საშუალებას იძლევა კომპანიამ შეისყიდოს მის მიერვე შერჩეული კონკრეტული ნივთი (მანქანა-დანადგარები, ავტოტრანსპორტი და სხვ.)

---

<sup>5</sup> საქართველოს ბანკი

საბოლოო გამოსყიდვით, კომპანია გარკვეული თანამონაწილეობის შემდეგ იღებს დაფინანსებას ბანკისგან და იძენს ძირითად საშუალებას გარკვეული ვადით, აღნიშნული მომსახურება მსგავსია ჩვეულებრივი მიკროკრედიტისა, იმ განსხვავებით, რომ შეძენილი საშუალებები არ ირიცხება კომპანიის ბალანსზე მანამ, სანამ არ მოხდება დავალიანების სრულად დაფარვა, რომელიც იფარება ნაწილებად, როგორც მიკროკრედიტი. ამ ტიპის საკრედიტო პროდუქტით სარგებლობა ნაკლებად ხელმისაწვდომია მცირე და საშუალო საწარმოებისათვის, რადგან თინანსური ლიზინგით ძირითადად დიდი ღირებულების მქონე ძირითადი საშუალებების შესყიდვა ხდება (მაგალითად თვითმფრინავების, დიდი საწარმოებისთვის ახალი ტექნოლოგიური ხაზების და ა.შ.).

საქართველოს კომერციული ბანკების საპროცენტო განაკვეთი ბიზნეს-სესხებზე მიბმულია ეროვნული ბანკის რეფინანსირების განაკვეთზე, რომელიც ცვალებადია და ეროვნული ბანკის მიერ ყოველთვიურად დგინდება. უმეტეს შემთხვევაში სესხზე საპროცენტო განაკვეთი განისაზღვრება ინდივიდუალურად და მერყეობს 10-16%-მდე.

**საბანკო/სატენდერო გარანტია** – ტენდერში მონაწილეს მოეთხოვება თავის წინადადებასთან ერთად წარადგინოს საბანკო გარანტია, რომელიც უნდა ფარავდეს ტენდერის მომწყობი ორგანიზაციის ხარჯებს იმ შემთხვევაში, თუ მხარე, რომელიც გაიმარჯვებს ტენდერში და შესაბამისად მიიღებს შეკვეთას შემდგომ უარს განაცხადებს თავისი მოვალეობების შესრულებაზე და აქედან გამომდინარე, ორგანიზაციას მოუწევს ტენდერის ხელმეორედ ჩატარება. ასეთი ტიპის გარანტიები მოკლევადიანია და გრძელდება ტენდერის დასრულებამდე.

წინასწარ გადახდის გარანტია, როდესაც კონტრაქტი ითვალისწინებს წინასწარ ანუ საავანსო გადახდას, ამ ტიპის გარანტიები მოითხოვება როგორც თანხის დაბრუნების უზრუნველყოფა იმ შემთხვევაში, თუ არ მოხდა კონტრაქტით გათვალისწინებული მიწოდება.

ვალდებულების შესრულების გარანტია არის გარანტიის ტიპი, რომელიც ყველაზე ხშირად გამოიყენება და იგი წარმოადგენს ბანკის ვალდებულებას გადაუხადოს გამყიდველს (მყიდველს) კონტრაქტის ღირებულების გარკვეული პროცენტი თუ იგი წარმოადგენს პრეტენზიას იმის შესახებ, რომ მყიდველმა (გამყიდველმა) არ შეასრულა კონტრაქტით ნაკისრი ვალდებულებები. აღნიშნული გარანტიის მოქმედების ვადა განისაზღვრება კონტრაქტის მოქმედების ვადით.

გადახდის გარანტია არის ბანკის ვალდებულება კონტრაქტის თანხის (მთლიანად ან ნაწილის) გადახდაზე, გაცემულს გამყიდველის სასარგებლოდ, იმ შემთხვევაში თუ იგი წარუდგენს მას პრეტენზიას მასზედ, რომ მყიდველი არ ასრულებს თავის ვალდებულებას კონტრაქტის თანხის გადახდასთან დაკავშირებით დათქმულ ვადაში.

საბაკო გარანტია მენარმეთათვის საოცრად პრაქტიკული საკრედიტო პროდუქტია. განაკვეთი 0.2%-0.65% (მინ. 30 ლარი)<sup>6</sup> ;

## **თავი IV - საქართველოს საკრედიტო სისტემა და საკრედიტო პოლიტიკა მცირე და საშუალო ბიზნესის დაკრედიტების საქმეში**

### **4.1 საკრედიტო სისტემა როლი მცირე და საშუალო ბიზნესის დაკრედიტებაში**

საკრედიტო სისტემა წარმოადგენს ქვეყნის საფინანსო სისტემის ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს რგოლს, რომლის არსებობა და ნორმალური ფუნქციონირება განმსაზღვრელ გავლენას ახდენს ეროვნული ეკონომიკის განვითარებაზე, ისევე

---

<sup>6</sup> ვითიბი ბანკი

როგორც ეკონომიკა ახდენს გავლენას ქვეყნის საკრედიტო სისტემის გამართულ ფუნქციონირებაზე.

განვითარებული საბაზრო ეკონომიკის ქვეყნების გამოცდილება საკამოდ დამაჯერებლად ადასტურებს, რომ საკრედიტო სისტემა საბაზრო ეკონომიკის საკვანძო რგოლს წარმოადგენს და საზოგადოების ყოფაცხოვრებაზე მთლიანობაში მრავალმხრივ ზემოქმედებას ახორციელებს. იგი არამართო ფულადი კაპიტალის დარგთაშორისი და რეგიონთაშორის გადანაწილებას უზრუნველყოფს, არამედ ქვეყნის სამეურნეოს სისტემის საანგარიშსწორებო და საგადამხდელო მექანიზმის საკვანძო რგოლსაც წარმოადგენს. ამიტომ საკრედიტო სისტემა შეიძლება განხილული იქნეს როგორც ერთიანი ეროვნული ეკონომიკის განუყოფელი ნაწილი. წამყვანი ქვეყნების გამოცდილება დამაჯერებლად ადასტურებს, რომ მხოლოდ ცივილიზებულ ბაზარს და გამართულ საკრედიტო სისტემას შესწევს უშუალოდ თვითრეგულირებისა და უფრო მეტის – თვითმმართველობის დამკვიდრების უნარი.

საკრედიტო სისტემა – სხვადასხვა სახის ეროვნული ბანკების და საკრედიტო დაწესებულებების ერთობლიობას წარმოადგენს, რომლებიც საერთო ფულად – საკრედიტო მექანიზმის ჩარჩოებში მოქმედებენ. საკრედიტო სისტემა შემდეგი სახის მიმდინარე და სტრატეგიული ამოცანების გადასაწყვეტად გამოიყენება:

- 1) ეკონომიკური ზრდის უზრუნველყოფა;
- 2) ინფლაციის რეგულირება;
- 3) საგადასახადო ბალანსის რეგულირება.

დამოუკიდებელი საბანკო-საკრედიტო სისტემის ჩამოყალიბების პროცესში საქართველოს საკრედიტო სისტემამ მნიშვნელოვანი ცვლილებები განიცადა. განვითარებისა და რესტრუქტურის პროცესი მიზნად ისახავდა ფინანსური მდგრადობის განმტკიცებას კაპიტალის საკმარისობის გაძლიერების საფუძველზე.

დამოუკიდებლობის მოპოვებიდან დაახლოებით 10 წლის განმავლობაში გამუდმებით მიმდინარეობდა რეფორმები საკრედიტო სისტემის სტაბილურის ზრდისა და განვითარების ხელშესაწყობად, რამაც დღევანდელი გადასახედიდან თუ ვიმსჯელებთ, თავისი შედეგი გამოიღო და დღეს არსებული სტაბილური საკრედიტო სისტემა საქართველოში მეტწილად სახელმწიფოსა და ეროვნული ბანკის მიერ სწორად გატარებული რეფორმების შედეგია.

საქართველოს საბანკო-ეკონომიკური რეფორმების აქტიური ფაზა და ახალი საკრედიტო სისტემის ფაქტობრივი ფორმირება. 1994 წლიდან დაიწყო. წინა რეფორმამდელ პერიოდში, ძირითადად სახელმწიფო საბანკო სტრუქტურის ტრანზფორმაციის პროცესი მიმდინარეობდა, რომლის შედეგადაც საკრედიტო სექტორში საბაზრო პრინციპები დამკვიდრდა – ის პოლიტიკისაგან განთავისუფლდა.

საქართველოს საკრედიტო სისტემის ფორმირებისა და განვითარების უახლესი ისტორიული პროცესი, ცვალებადი ეკონომიკური და პოლიტიკური ვითარებიდან გამომდინარე, რამდენიმე განსხვავებულ ეტაპს და პერიოდს მოიცავს. განზოგადებული შეფასებით – სამართლებრივი, ეკონომიკური და სტრუქტურული მახასიათებლების გათვალისწინებით, საბანკო ეკონომიკური სისტემის განვითარების პროცესი საქართველოში ორ ეტაპად შეიძლება განვიხილოთ; გარდამავალი ეტაპი (1996 წლამდე) და ახალი ეტაპი (1996 წლიდან).

საბაზრო ეკონომიკის გარდამავალ ეტაპზე, როდესაც საკრედიტო სისტემის საფუძვლები ჩამოყალიბდა, დაიწყო შესაბამისი ინსტიტუციონალური ბაზის ფორმირება, ახალი საკრედიტო სტრუქტურების ჩამოყალიბება, თუმცა 1993 წლის პირველ აპრილამდე, მანამ სანამ არ შემოიღეს პირველი ქართული ფულის ნიშნები – კუპონები, საქართველოს არ გააჩნდა საშუალება დამოუკიდებლად განეხორციელებინა ფულად-საკრედიტო რეფორმა. ეროვნულმა ბანკმა ფუნქციონირება სწორედ ამ პერიოდიდან დაიწყო, თუმცა არასრულყოფილი საკანონმდებლო ბაზის პირობებში ის ვერ ასრულებდა იმ როლს, რაც ტიპიურ ცენტრალურ ბანკებს აკისრიათ.

ამგვარად, რეფორმამდელ ანუ გარდამავალ პერიოდში საქართველოში ფაქტობრივად საბანკო-საკრედიტო სისტემა არ არსებობდა. მოშლილი იყო ფულად – საკრედიტო, საბუღალტრო-საანგარიშგებო და საფინანსო-საბიუჯეტო საქმიანობა.

1994 წლიდან საქართველოში უკვე რეალურად დაიწყო დამოუკიდებელი საბანკო სექტორის ფორმირების პროცესი. რეფორმის პირველი ეტაპის დასაწყისში, 1994 წელს, ამ მცირე ქვეყანაში 228 კომერციული ბანკი ფუნქციონირებდა, რომელთა უმეტესობის მასშტაბები მცირე იყო. გარდამავალ ფაქტორებზე ორიენტირებული ბანკები კონკურენციას ვერ უძლებდნენ და კოტრდებოდნენ.

საბანკო-საკრედიტო სისტემის რეფორმა და მდგრადი საკრედიტო სტრუქტურების ფორმირების პროცესი საქართველოს ეროვნული ბანკის, საერთაშორისო სავალუტო ფონდის და სხვა საერთაშორისო საფინანსო ორგანიზაციების თანამონაწილეობით ხორციელდებოდა. ახლადშექმნილი კომერციული ბანკების ხელშეწყობის მიზნით, ეროვნული ბანკის ინიციატივით შემუშავებული გარდაქმნის პროგრამა, საბანკო სტრუქტურების თვითრეორგანიზაციას და საბიუჯეტო დახმარების გარეშე მათ სწრაფ გაძლიერებას ითვალისწინებდა. ეკონომიკურმა რეფორმებმა, საკანონმდებლო ბაზის სრულყოფამ, აგრეთვე ეროვნული ბანკის მიერ საერთაშორისო რეგულაციების ფლობამ, რაც ქართული ეროვნული ვალუტა ლარი გადახდის ერთადერთ საშუალებად აქცია, ხელი შეუწყო საკრედიტო სექტორის სტაბილური ზრდის უზრუნველყოფას. რეფორმის პროცესში განხორციელებულმა სერთიფიკაციის პროგრამამ 1995 წლისათვის გამოავლინა 47 კონკურენტუნარიანი ბანკი, რომელთა შორის არც ერთი ყოფილი სახელმწიფო-კომერციული ბანკი არ ფიგურირებდა. ამავე წელს არსებული 229 კომერციული ბანკიდან 128 ბანკს ლიცენზია ჩამოერთვა, ეს პროცესი უკვე 1996 წელსაც გაგრძელდა და ლიცენზია კიდევ 42 კომერციულმა ბანკმა დაკარგა. 1996 წლიდან, ეროვნული ვალუტის დამკვიდრების და ფინანსური სტაბილურობის მიღწევის შემდეგ, საქართველოში დაიწყო ეკონომიკური რეფორმის ახალი, მიზანმიმართული ეტაპი, რაც გულისხმობდა მენარმეთა ფენის ფორმირება-განვითარებას და ამ პროცესში

სახელმწიფოს გამიზნულ ჩართვას “სოციალური სტიმულირებისა” და ე.წ. “შოკური თერაპიის” მეთოდის გამოყენებით.

საბანკო რეფორმის მეორე ფაზა 1998 წლამდე – უმნიშვნელოვანეს ევოლუციურ ეტაპს წარმოადგენს. ძირითადად სწორედ ამ პერიოდიდან იწყება ცივილიზებული საფინანსო ბაზრის ჩამოყალიბება, რამაც თავის მხრივ, ხელი შეუწყო ფინანსურმა სტაბილიზაციამ. გააქტიურდა ფისკალური და ფულად-საკრედიტო პოლიტიკა, შესაძლებელი გახდა ფასების რეგულირება, ლარის აშშ დოლარზე გაცვლითი კურსის სტაბილურობამ გაზარდა მოსახლეობის ნდობა ეროვნული ვალუტისადმი, რაც შემდგომშიც შენარჩუნდა.

1996 წლიდან ამუშავდა ბანკთაშორისი საკრედიტო რესურსების აუქციონი, რაშიც აქტიურად ჩაერთვნენ კომერციული ბანკები.

მაკროეკონომიკურ სტაბილურობას მოჰყვა ეკონომიკური აქტიურობის ზრდაც. მთლიანი შიდა პროდუქტის საშუალო წლიურმა ზრის ტემპმა 1995-1995 წლებში 10% შეადგინა. რეფორმების მომდევნო ეტაპზე, საკრედიტო სისტემის სტაბილურ განვითარებას ხელი შეუწყო საბანკო კანონმდებლობის დახვეწამ, ეროვნული ბანკის ინსტიტუციონალურმა სრულყოფამ და მისი საზედამხედველო ფუნქციების გააქტიურებამ. საბანკო მომსახურების ბაზარი მაქსიმალურად გაიწმინდა არაქმედითუნარიანი ბანკებისაგან. 2002 წლისათვის კომერციული ბანკების რაოდენობა 27-დღე შემცირდა.

კომერციული ბანკების გაძლიერებამ, მათი საიმედოობის ამაღლებამ და კონკურენტული გარემოს გაჯანსაღებამ, ხელი შეუწყო უცხოელ პარტნიორთა დაინტერესებას საქართველოს საბანკო სფეროთი და სტიმული მისცა მსოფლიო საბანკო სისტემებთან ინტეგრაციის პროცესებს. ამასთან შეიქმნა პირობები უცხოური ბანკების საქართველოს ბაზარზე შემოსასვლელად.

დღეისათვის საქართველოს საკრედიტო სისტემა შემდეგნაირად არის წარმოდგენილი: პირველი – ცენტრალური ბანკი, მეორე დონე – კომერციული ბანკები და მესამე დონე –

სპეციალიზირებული არასაბანკო საკრედიტო ფინანსური ინსტიტუტები; საინვესტიციო კომპანიები; სადაზღვევო კომპანიები. საკრედიტო სისტემა შეიძლება წარმოდგენილი იქნეს როგორც ერთი მთლიანობა, როგორც ერთი მთლიანი მექანიზმი და მისი ნაწილების მრავალფეროვნება. ეს ნიშნავს, რომ თუკი ხორციელდება ერთი კონკრეტული სუბიექტის ლიკვიდაცია ამ ჯაჭვში, მას აუცილებლად უნდა ჩაენაცვლოს მეორე ეკონომიკური სუბიექტი, რომელიც ანალოგიურ ფუნქციებს შეასრულებს.

დღეისათვის ოფიციალური მონაცემების<sup>7</sup> მიხედვით 19 ლიცენზირებული კომერციული ბანკი ფუნქციონირებს:

1. სს ბანკი „რესპუბლიკა“
2. სს „თიბისი ბანკი“~
3. სს „საქართველოს ბანკი“
4. სს „ლიბერთი ბანკი“
5. სს „ბაზისბანკი“
6. სს „ვითიბი ბანკი ჯორჯია“
7. სს „ბანკი ქართუ“
8. სს „პროკრედიტ ბანკი“
9. სს „სილქ როუდ ბანკი“
10. სს „კაპიტალ ბანკი“
11. სს „აზერბაიჯანის საერთაშორისო ბანკი - საქართველო“

---


<sup>7</sup> ეროვნული ბანკი

12. თ.რ. სს „ზირაათ ბანკის“ თბილისის ფილიალი
13. სს "თურქეთის იმ ბანკის ბათუმის ფილიალი"
14. სს „კავკასიის განვითარების ბანკი - საქართველო"
15. სს „პროგრეს ბანკი"
16. სს „კორ სტანდარტ ბანკი"
17. სს „ხალიკ ბანკი საქართველო"
18. სს „პაშა ბანკი საქართველო"
19. სს “ფინკა ბანკი საქართველო“


აღნიშვნის ღირსია, ბოლო პერიოდში განხორციელებული ორი დიდი ცვლილება, კერძოდ „საქართველოს ბანკის“ მიერ „ტაო პრივატ ბანკის“, ხოლო „თიბისი ბანკის“ მიერ „ბანკი კონსტანტას“ მიერთება.

საქართველოში ეროვნული ბანკის მონაცემებით რეგისტრირებულია 71 მიკროსაფინანსო ორგანიზაცია.

ნახაზი 4.1. კომერციული ბანკის აქტივები 2014 წლიდან დღემდე (ათას ლარებში)



ნახაზი 4.1.1 (მიკროსაფინანსო ორგანიზაციების მთლიანი აქტივები 2014 წლიდან დღემდე)



მცირე და საშუალო ბიზნესის განვითარებისთვის და ამ სფეროში საკრედიტო ურთიერთობების პრობლემების მოსაგვარებლად, უპირველეს ყოვლისა, მთავარი და აუცილებელია საიმედო, ფინანსურად მდგრადი საკრედიტო სისტემის ჩამოყალიბება, საქართველოს საბაზრო ინფრასტრუქტურის ჩამოყალიბების პროცესში ჩამოყალიბებული კომერციული ბანკები ფინანსურად არ იყვნენ მდგრადი და მათი მნიშვნელოვანი ნაწილი კოტრდებოდა, რის გამოც მოსახლეობის და კრედიტორების

მნიშვნელოვანი ნაწილი დაზარალდა, თუმცა უკანაკნელ პერიოდში დადებითი მაკროეკონომიკური ტენდენციების შენარჩუნებამ, საკრედიტო სისტემის რეფორმების თანმიმდევრულად განხორციელებამ ეკონომიკურ ცვლილებებთან საკრედიტო სისტემის ადაპტაციის გაუმჯობესებამ მნიშვნელოვნად შეუწყო ხელი ამ სექტორის ფინანსური მდგრადობის ამაღლებისათვის პოზიტიური ტენდენციების ზრდას.

## 4.2 კომერციული ბანკის საკრედიტო პოლიტიკა და მცირე და საშუალო ბიზნესთან ურთიერთობების პრობლემები

საქართველოში ადმინისტრაციულ-მბრძანებლური ეკონომიკიდან პრინციპულად ახალ საბაზრო ეკონომიკურ სისტემაზე გადასვლამ მოითხოვა საკრედიტო ურთიერთობები და საბანკო საქმეში კარდინალური გარდაქმნების აუცილებლობა, რომლის არსი იმაში მდგომარეობს რომ შემუშავდეს და განხორციელდეს ღონისძიებათა კომპლექსური საბაზრო ურთიერთობებთან ბანკების ადეკვატური საქმიანობის უზრუნველსაყოფად. ე.ი. ახალ საბანკო ( მათ შორის საკრედიტო) პოლიტიკის გასატარებლად საქართველოს ეროვნულ ეკონომიკაში კომერციული ბანკის საკრედიტო პოლიტიკის განსაკუთრებული როლი განისაზღვრება ფულადი საშუალებების, საბაზრო ეკონომიკის დარგებსა და სფეროებში გადანაწილების, მოსახლეობისა და იურიდიულ პირების დანაზოგების არამწარმოებლური სფეროდან სწარმოო სფეროში გადატანის, ეკონომიკის მოთხოვნილებების, დაფინანსებისა და დაკრედიტების პროცესში, მიმოქცევაში დამატებით ნაღდი ფულის გაშვების გარეშე ე.ი. არაინფლაციური გზით.

ბანკებში საკრედიტო პოლიტიკას შეიმუშავებენ უპირველეს ყოვლისა იმიტომ, რომ ის საშუალებას იძლევა მოხდეს ფულადი საშუალებების მოძრაობის შესახებ ბანკსა და კლიენტებს შორის ურთიერთობების რეგულირება, მართვა და რაციონალური ორგანიზაცია.

ცივილიზებულ საბაზრო ეკონომიკის პირობებში ეკონომიკური ზრდის და საერთოდ განვითარების განმსაზღვრელ ფაქტორად მიჩნეული უნდა იქნეს ეკონომიკის სუბიექტების თავისუფალი ურთიერთქმედება. მიმდინარე ეტაპზე აუცილებელია არსებულის შესწავლის ბაზაზე დაისახოს კომერციული ბანკების საკრედიტო პოლიტიკის ფორმირების ახალი მიდგომები და მექანიზმები იურიდიულ და ფიზიკურ პირებთან ურთიერთკავშირში.

ბანკის საკრედიტო პოლიტიკის რეალიზაციის პროცესში მხედველობაში მიიღება აგრეთვე ისეთი მნიშვნელოვანი საკითხები როგორც არის:

- ✓ დაკრედიტების პროცესში მსესხებლის ან განმსესხებლის ჯგუფისათვის შიდა საბანკო ლიმიტის დანესება.
- ✓ საკრედიტო რისკების სრულყოფილი ანალიზისათვის ანალიტიკური ფორმების პაკეტების შემუშავება, რომლებიც ცალკეული მსესხებლის რისკის დონეს გამოხატავენ.
- ✓ ეკონომიკის სხვადასხვა დარგების მიხედვით დივერსიფიკაცია.
- ✓ ეკონომიკის პრიორიტეტული დარგების განსაზღვრა რისკის შედარებით დაბალი დონის გათვალისწინებით.
- ✓ საკრედიტო პოლიტიკის გამკაცრება ეკონომიკის იმ დარგებთან მიმართებაში, რომლებიც რისკის შედარებით მაღალი დონით ხასიათდება.
- ✓ კრედიტებზე საკრედიტო პოლიტიკის შემუშავება რისკიანობის კოეფიციენტიდან გამომდინარე.

ბანკის საკრედიტო პოლიტიკის შემუშავება ბანკის ხელმძღვანელობის მხრიდან დაკრედიტების მიზნების მკაფიოდ ფორმულირებას მოითხოვს, რაც უპირველეს ყოვლისა ბანკის საერთო სტრატეგიულ მიზნებსა და ამოცანებს შეესაბამება. აღნიშნული მიზნების განსაზღვრის პარალელურად ბანკმა უნდა შექმნას დაკრედიტების სტანდარტები და საკრედიტო ინტრუქციები, რომლებმაც ბანკის შესაბამისი ქვედანაყოფის თანამშრომლებს მათზე დაკისრებულ ვალდებულების ოპერატიულ შესრულებაში უნდა შეუწყოს ხელი. ბანკის მმართველთა საბჭოს მიერ დამტკიცებული საკრედიტო პოლიტიკა სისიტემატურად უნდა მუშავდებოდეს და იხვეწებოდეს და შეესაბამებოდეს ქვეყნის ეკონომიკური განვითარების მოდელს, მორგებული უნდა იყოს კონკრეტული ქვეყნის ეკონომიკურ რეალობას.

საკრედიტო პოლიტიკის განსაზღვრული ზემოთ ჩამოთვლილი საკითხები ერთიანობაში კომერციული ბანკის საკრედიტო საქმიანობის ორგანიზაციას და სტაბილური შემოსავლების ძირითად ფუნდამენტს ქმნის.

კომერციული ბანკის საკრედიტო პოლიტიკა მოიცავს საბანკო კრედიტის მოძრაობის ყველა ფორმას და სახესხვაობას, სწორედ ამიტომ საკრედიტო პოლიტიკა უნდა წარმოვიდგინოთ ერთი მხრივ როგორც დარეკლიტების, მეორე მხრივ სესხის მიღების პოლიტიკა.

საკრედიტო პოლიტიკის მთავარ ელემენტებად მიჩნეულია:

1. მიზანი, რის საფუძველზეც წარმოებს საკრედიტო პორტფელის ფორმირება.
2. კრედიტის გაცემის პროცესში იმ უფლების აღწერა, რომელიც მიცემული აქვს საკრედიტო ექსპერტსა და საკრედიტო კომიტეტს.
3. შუამავლობის, შემონმების, შეფასებისა და გადანყვეტილების მიღება კლიენტის საკრედიტო განასახადის თაობაზე.
4. საკრედიტო განცხადებაზე თანდართული აუცილებელი დოკუმენტაცია, რომელიც ინახება საკრედიტო საქმეში.
5. საკრედიტო საქმეში ბანკის იმ თანამშრომლების უფლებების დეტალური ნუსხა, რომლებიც პასუხისმგებლები არიან მის შენახვასა და კონტროლზე.
6. საკრედიტო უზრუნველყოფის, მიღების, შეფასებისა და რეალიზაციის ძირითადი წესები.
7. საკრედიტო განაკვეთების დაწესების პოლიტიკისა და პრაქტიკის აღწერა, კრედიტის დაფარვის პირობებში.
8. ხარისხის სტანდარტების აღწერა, რომლებიც გამოიყენება ყველა სახის კრედიტის ფორმირებისას.

9. საკრედიტო დაბანდების მაქსიმალური თანხის ჩვენება.

10. პრობლემურ სესხებთან დაკავშირებული სიტუაციების გამოვლინების ანალიზისა და გადანაცვების აღწერის პრაქტიკა.

საკრედიტო პოლიტიკის აღწერას კომერციული ბანკებისთვის განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება. იგი მოიცავს იმ პროცედურის აღწერას, რომელსაც თვალყური უნდა ადევნოს ბანკის მუშაკებმა. საკრედიტო პოლიტიკის აღწერა ბანკს ხელს უწყობს ჩამოაყალიბოს ისეთი საკრედიტო პორტფელი, რომელიც მას დაეხმარება მთელი რიგი მიზნების მიღწევაში, სახელდობრ: უზრუნველყოს მომგებიანობა, კონტროლი დაანესოს რისკის მართვაზე, დაიცვას მარეგულირებელი ორგანოების მიერ წამოყენებული მოთხოვნები.

რეალურად საკრედიტო პოლიტიკა ზოგადად კომერციული ბანკის საბანკო პოლიტიკის ერთ-ერთი შემადგენელი ნაწილია. (გარდა ამისა ბანკს გააჩნია სადეპოზიტო პოლიტიკა, სავალუტო პოლიტიკა, საპროცენტო პოლიტიკა, რისკების მართვის პოლიტიკა და სხვა.) საკრედიტო პოლიტიკას, მის სწორად განსაზღვრასა და ფორმირებას კონკრეტული საკრედიტო სუბიექტისათვის სასიცოცხლო მნიშვნელობა აქვს ორი ძირითადი მიზეზის გამო:

1) საკრედიტო პოლიტიკის როლი მდგომარეობს საბანკო საქმიანობის განვითარებისა და სრულყოფის პრიორიტეტული მიმართულებების განსაზღვრაში – საკრედიტო რესურსების აკუმულაციისა და ინვესტირების, საკრედიტო პროცესის განვითარებისა და მისი ეფექტიანობის ამაღლების პროცესში.

2) მაკროეკონომიკურ დონეზე ხაზი უნდა გაუყვანოს საკრედიტო პოლიტიკის დიდ მნიშვნელობას მთლიანი შიდა პროდუქტისა და ეროვნული შემოსავლის ფორმირების, განაწილებისა და გადანაწილების პროცესში, ფულის ბრუნვის დაგეგმვის და რეგულირების ორგანიზაციაში, ხოლო მიკროეკონომიკურ დონეზე – კონკრეტული საკრედიტო სუბიექტის სწორად შემუშავებული საკრედიტო პოლიტიკა უზრუნველყოფს

მის სტაბილურობას, რენტაბელობასა და ლიკვიდობას, კლიენტების მოთხოვნებთან მისი საქმიანობის ადექვატურობას.

კომერციული ბანკის მიერ გატარებული საკრედიტო პოლიტიკის მიზანია სტაბილური მომგებიანობა, რისკების მინიმიზაცია, სტაბილური, გრძელვადიანი ლიკვიდურობის უზრუნველყოფა, აქტივებისა და კაპიტალის ზრდა და ზოგადად კონკრეტული ეკონომიკური სუბიექტის განვითარება.

იმასთან დაკავშირებით, რომ საკრედიტო პოლიტიკა საბანკო პოლიტიკის ელემენტია, მისი მიზანი ორგანულ კავშირში იმყოფება ბანკის სტრატეგიულ მიზანთან – ბანკის მიერ სტაბილური და გარანტირებული მოგების მიღებასთან.

საბაზრო ეკონომიკის პირობებში აუცილებელია ქვეყნის საკრედიტო სუბიექტებმა შეიმუშაონ, საკრედიტო პოლიტიკა, რომელშიც განსაკუთრებული ყურადღება მიექცევა შემდეგ მოვლენებს:

- 1) კლიენტებისადმი სტრატეგიული ორიენტაცია,
- 2) საბანკო დანახარჯების შემცირების სტრატეგიული ორიენტაცია.
- 3) საკუთარი კაპიტალის გამრავლებისა და ოპტიმალური განთავსების სტრატეგია.

კომერციული ბანკების და საერთოდ, საკრედიტო სისტემის განვითარება შეუძლებელია სწორი საკრედიტო პოლიტიკის შემუშავების გარეშე. საკრედიტო პოლიტიკის პრინციპები საკრედიტო ურთიერთობათა სუბიექტების სამეურნეო საქმიანობის უკეთესი შედეგების დაინტერესების სტიმულატორის როლში უნდა გამოვიდეს. ამასთან მათ განსაკუთრებული მნიშვნელობა აკისრია ეროვნული ეკონომიკის მასშტაბით საკრედიტო პოლიტიკის განხორციელების პროცესში.

კომერციული ბანკი საკრედიტო პოლიტიკის კონცეფციის ჩამოყალიბების შემდეგ უნდა შეუდგეს პრაქტიკულ საქმიანობას. ე.ი საკრედიტო პროცესის ორგანიზაციას, რომელიც შეიძლება წარმოდგენილი იქნას შემდეგი ეტაპების სახით:

- 1) საკრედიტო განაცხადების პორტფელის ფორმირება;
- 2) პოტენციურ კლიენტთან მოლაპარაკების ჩატარება;
- 3) გადაწყვეტილების მიღება კრედიტის გაცემის მიზანშეწონილობისა და მისი გაცემის ფორმების შესახებ;
- 4) საკრედიტო საქმის გაფორმება;
- 5) კლიენტთან მუშაობა მისი სესხის მიღების შემდეგ;
- 6) კრედიტი დაბრუნება და საკრედიტო საქმის დახურვა

ამრიგად, რამდენადაც ნებისმიერი საკრედიტო დაწესებულების ერთ-ერთი გამსაზღვრელი ფაქტორია საკრედიტო პოლიტიკა, მის სწორად შედგენას სასიცოცხლო მნიშვნელობა აქვს ამ სუბიექტისთვის, შესაბამისად საკრედიტო პოლიტიკა უნდა შეესაბამებოდეს ქვეყნის ეკონომურ რეალობას და მის განვითარების დონეს.

ნებისმიერი სახის ბიზნესისათვის ფინანსურ სექტორთან ურთიერთობა ძალიან დიდ მნიშვნელობას ატარებს, როგორც მომსახურების ასევე სესხებისა და კრედიტების კუთხით. მცირე ბიზნესისათვის საბანკო კრედიტები, შეიძლება ითქვას, სასიცოცხლო მნიშვნელობისაა, მისი განვითარება შეუძლებელია კაპიტალის გარეშე. მცირე ბიზნესში კაპიტალის შევსების ყველაზე მთავარი წყარო საბანკო კრედიტებია. ამაზე დამოკიდებული მენარმის წარმატებული საქმიანობა, ანუ მენარმის კეთილდღეობა. მცირე ბიზნესის სოციალურ- ეკონომიკური სიკეთე დიდწილადაა დამოკიდებული საფინანსო ინსტიტუტების საქმიანობაზე.

საქართველოში ყველაზე განვითარებული ეკონომიკური სფერო საბანკო სექტორია. ბუნებრივია, ქართულ სამეწარმეო საქმის დღევანდელ მდგომარეობაში საბანკო სექტორის წვლილი დიდია. როგორც ზემოთ ვთქვით, დღესდღეობით ჩვენს ქვეყანაში 19 კომერციული ბანკი საქმიანობს. ისეთ ქვეყნებში სადაც მცირე ბიზნესს სახელმწიფოს მხრიდან ყურადღება ექცევა, მეწარმეობის ამ სფეროში თავისი საქმიანობის გაღრმავების მნიშვნელოვანი მოტივაცია საბანკო სექტორსაც უჩნდება. რაც შეეხება სახელმწიფოს პასუხისმგებლობა მით უფრო ნაკლები რისკის განევა უხდებათ ბანკებს კრედიტების გაცემისას, შესაბამისად, სესხები გაცილებით დაბალ პროცენტთან და ადვილად ხელმისაწვდომი შეიძლება გახდეს.

საქართველოში ნებისმიერი ბიზნეს სესხის საპროცენტო განაკვეთი 16 დან 30 პროცენტამდე მერყეობს. თანაბარი საკრედიტო პირობები მცირე ბიზნესს დიდ ბიზნესთან თანაარსებობას ძალიან ურთულებს. გარდა პროცენტების სიძვირისა კრედიტების მიღების საკითხებიც გართულებულია. გერმანიაში არსებობს პრაქტიკა, რომლის მიხედვითაც მეწარმეს საკუთარი მოთხოვნის მიღება ინტერნეტითაც შეუძლია. საქართველოში კი მრავალი ფორმალური ბარიერი არსებობს. განვითარებულ ქვეყნებში არსებობენ სახელმწიფო ორგანიზაციები, რომლებიც მეწარმეს ეხმარებიან იურიდიულ, ეკონომიკურ თუ სხვა პრობლემების მოგვარებაში. ანუ სახელმწიფო თავად არის დაინტერესებული ხელი შეუწყოს მცირე და საშუალო ბიზნესის განვითარების. განცხადების შეტანის შემდეგ ბანკის კრედიტ ოფიცერი მიდის მსესხებელი პირის საწარმოში, ხდება გასაუბრება, რის შემდეგაც კრედიტ ოფიცერი ბანკის საკრედიტო კომიტეტს აცნობს მსესხებლის პირობებს. კომიტეტი აფასებს საწარმოს გადახდისუნარიანობას, საწარმოს ურთიერთობებს სხვა ბანკებთან და ორგანიზაციებთან. ყოველივე ამის შემდეგ იღებს გადაწყვეტილებებს მისცეს თუ არა მეწარმეს კრედიტი. სესხის დროული და სრული დაბრუნების უზრუნველყოფისათვის და შემდგომი გართულებების თავიდან ასაცილებლად ბანკი მსესხებელ საწარმოს სთხოვს დატოვოს საგირავნო უზრუნველყოფა. ეს შეიძლება იყოს ძვირფასეულობა,

ავტომობილი, ფასიანი ქაღალდები და ა.შ. ამ მხრივ ბანკი ამცირებს რისკს. მენარმე პროცენტის გადახდის გადაცდენის შემთხვევაში იხდის ბანკის მიერ დადგენილ საპროცენტო ჯარიმას, ხოლო გადახდისუუნარობის დროს კი ბანკი იძულებულია მფლობელობაში დაიტოვოს საგირავნო ობიექტები. კრედიტით სარგებლობის პერიოდში ბანკი გარეკვეულწილად თვალყურს ადევნებს მენარმის საქმიანობას, იგი ამონმებს მსესხებელი საწარმოს ბუღალტერიას.

მცირე და საშუალო მენარმეობის დაკრედიტებისას გათვალისწინებული უნდა იქნას მენარმის საქმიანობის სფერო, დიფერენცირებული უნდა იქნას ვაჭრობის, მომსახურებისა და წარმოების სფერო. მიზნობრივი სესხების გაცემით ბანკები უკეთ მოახერხებენ მენარმის საქმიანობის სწორად შეფასებას, თავის მხრივ ასეთი მეთოდი მენარმეებსაც მისცემს საშუალებას სწორად წარმართონ თავიანთი საქმიანობა. ქართული საბანკო სექტორის სპეციფიკური განვითარება, სხვა კუთხითაც უქმნის მენარმეობის განვითარებას პრობლემებს. უნდა ითქვას, საბანკო მომსახურებებით სარგებლობა მენარმეს მეტნაკლებად სრულყოფილად მხოლოდ დედაქალაქში შეუძლია. რეგიონებში საბანკო სისტემა გაცილებით სუსტია, ვიდრე თბილისში. თბილისში სესხის აღება გაცილებით მარტივია ვიდრე, თუნდაც წყალტუბოში, ამიტომ რეგიონში მცხოვრებ მენარმეებს, საბანკო კრედიტებთან ხელი ნაკლებად მიუწვდებათ. შესაბამისად რეგიონებში სამენარმეო საქმიანობის წარმოება გაცილებით ძნელია, რაც უამრავ ეკონომიკურ თუ სხვა შინაარსის პრობლემას იწვევს. სამენარმეო საქმიანობის მასშტაბურად განვითარებას ხელს უშლის ის ფაქტი, რომ არცერთ ბანკს არ აქვს შეთავაზებები დამწყები ბიზნესმენებისათვის. კერძო ბანკს ვერ მოვთხოვთ გამოუცდელად აღამიანზე სესხის გაცემის რისკის განწვევას. როცა სახელმწიფომ გაამარტივა სამენარმეო საქმიანობის დაწყების პროცედურა და გააადვილა ნებართვების გაცემა, პარალელურად, მან უნდა იმუშაოს იმაზე, რომ დამწყები ბიზნესმენებისთვისაც გახდეს სესხები ხელმისაწვდომი.

## დასკვნა-რეკომენდაციები

ღია ეკონომიკის პირობებში მცირე და საშუალო ბიზნესს შეუძლია იქცეს მსხვილი კორპორაციების დივერსიფიკაციის და სამომხმარებლო ბაზრის მოდერნიზაციის ინსტრუმენტად. საქართველოში მცირე და საშუალო საწარმოების განვითარება საშუალებას მოგვცემს ეფექტურად გადაწყდეს ისეთი მნიშვნელოვანი პრობლემები, როგორცაა კონკურენციის ზრდა, რეფორმების სოციალური ბაზის გაფართოება, საშუალო ფენის ფორმირება, მოსახლეობის დასაქმება, საწარმოო სიმძლავრეების დატვირთვა, ბიუჯეტის შემოსავლების ფორმირება, წონადი წვლილის შეტანა ქვეყნის მთლიანი შიდა პროდუქტის ფორმირებაში და საზოგადოდ, ქვეყნის სოციალურ-ეკონომიკური პრობლემების მოგვარებაში. თუკი საქართველოს ეკონომიკა ახალი ტიპის ეკონომიკად უნდა ჩამოყალიბდეს, მცირე და საშუალო ბიზნესის განვითარების საჭიროება გარდაუვალია. შესაბამისად, ამ ტიპისა და მასშტაბების ბიზნესის განვითარება პრიორიტეტულ პოლიტიკურ და ეკონომიკურ ამოცანად უნდა იქცეს.

მცირე და საშუალო ბიზნესს გააჩნიათ მთელი რიგი ნაკლოვანებები. სახელწოდებიდან გამომდინარე მცირე ბიზნესს მცირე კაპიტალი აქვს, ამის გამო ხშირია მათი გაკოტრების ალბათობა, ახასიათებს რესურსების სიმცირე, რაც თავისთავად იწვევს მის ნაკლებკონკურენტუნარიანობას ბაზარზე. მცირე ბიზნესის ზემოთ ჩამოთვლილი

ნაკლოვანებანი განაპირობებს სახელმწიფოსა და საკრედიტო ინსტიტუტების მხრიდან მისი მხარდაჭერის აუცილებლობას, რაც უმთავრესად გულისხმობს, ერთის მხრივ, მათი იათი კრედიტით უზურნველყოფას და მეორეს მხრის საკრედიტო დაწესებულების, კერძოდ კი კომერციული ბანკების სტიმულირებას დაათინანსონ მცირე მენარმეები გრძლევადიანი და შელავათიანი კრედიტებით. განვითარებული ქვეყნების უმრავლესობაში შექმნილია მცირე ბიზნესის მხარდაჭერის ფონდები, რომელიც უშუალოდ სახელმწიფოს დაქვემდებარებაშია. თავიანთი საქმიანობით ისინი ხელს უწყობენ მცირე მენარმეობის გამართული ფუნქციონირებას. ამ მიზნით შემუშავებულია ეკონომიკური მექანიზმების მთელი სისტემა, რომელიც ყოველმხრივ ასტიმულირებს და ხელს უწყობს მცირე ფირმების განვითარებას.

ღია ეკონომიკის პირობებში მცირე და საშუალო ბიზნესს შეუძლია იქცეს მსხვილი კორპორაციების დივერსიფიკაციის და სამომხმარებლო ბაზრის მოდერნიზაციის ინსტრუმენტად. საქართველოში მცირე და საშუალო სანარმოების განვითარება საშუალებას მოგვცემს ეფექტურად გადაწყდეს ისეთი მნიშვნელოვანი პრობლემები, როგორცაა დასაქმება, კონკურენციის ზრდა, საშუალო ფენის ფორმირება, სანარმოო სიმძლავრეების დატვირთვა, ბიუჯეტის შემოსავლების ფორმირება, წონადი წვლილის შეტანა ქვეყნის მთლიანი შიდა პროდუქტის ფორმირებაში და საზოგადოდ, ქვეყნის სოციალურ- ეკონომიკური პრობლემების მოგვარებაში. თუკი საქართველოს ეკონომიკა ახალი ტიპის ეკონომიკად უნდა ჩამოყალიბდეს, მცირე და საშუალო ბიზნესის განვითარების საჭიროება გარდაუვალია. შესაბამისად, ამ ტიპისა და მასშტაბების ბიზნესის განვითარება პრიორიტეტულ პოლიტიკურ და ეკონომიკურ ამოცანად უნდა იქცეს.

მიმაჩნია, რომ უმნიშვნელოვანესია სახელმწიფოსა და ბანკების როლი პრაქტიკული ბიზნეს-განათლების ხელშეწყობის კუთხით.

7 რეკომენდაცია, რომელიც ხელს შეუწყობს საქართველოში მცირე და საშუალო ბიზნესის განვითარებას:

1) **საგადასახადო კანონმდებლობის დახვეწა** - მცირე ბიზნესის წასახალისებლად საჭიროა უფრო მკვეთრი ნაბიჯების გადადგმა. მაგალითად, საგადასახადო სისტემაში ფიქსირებული ან ბრუნვაზე გადასახადის შემოღება, კარგი იქნება თუ გავითვალისწინებთ სხვა ქვეყნების გამოცდილებას (იხილეთ დანართი 1). საქართველოში მცირე ბიზნესისთვის საგადასახადო კანონმდებლობის მოთხოვნათა შესრულების გაზრდილი ხარჯები, მკაცრი ჯარიმები, ნდობისა და ინფორმაციის ნაკლებობა, არასტაბილური საგადასახადო კანონმდებლობა მნიშვნელოვან

პრობლემებს წარმოადგენს. გარდა ამისა, მცირე მენარმეებს ხშირად მოსდით შეცდომები დეკლარაციების შევსებისას. პრობლემას წარმოადგენს ბუღალტერიის წარმოება, დოკუმენტების შევსება და საგადასახადო ინსპექციაში წარდგენა. ამ მიმართულებით გასატარებელი კონკრეტული ნაბიჯების ერთობლიობა პოლიტიკის ალტერნატივებად შეიძლება ჩამოყალიბდეს.

მცირე ბიზნესის განვითარების მაქსიმალური ხელშეწყობისთვის, რათა გაფართოვდეს მოქმედ საწარმოთა საქმიანობა და წახალისდეს ახლის შექმნა, საჭიროა ქვეყნის საგადასახადო კანონმდებლობის მნიშვნელოვანი სრულყოფა. ამჟამად, მცირე ბიზნესის სტატუსი შეიძლება მიენიჭოს მენარმე ფიზიკურ პირს, რომლის მიერ ეკონომიკური საქმიანობიდან მიღებული ერთობლივი შემოსავალი კალენდარული წლის განმავლობაში არ აღემატება 100 000 ლარს. ზღვარი მცირეა (განსაკუთრებით, ვაჭრობის საწარმოებისთვის, რომელთა ბრუნვა მაღალია) და მის არეალში მხოლოდ მცირე რაოდენობა ხვდება ბიზნესების. რეჟიმიდან გამოსვლა კი ავტომატურად მოგების (საშემოსავლო) გადასახადზე გადასვლას ნიშნავს და დოკუმენტაციის მოთხოვნებს. ხარჯს ზრდის ბუღალტრული აღრიცხვის აუცილებლობა. აუცილებელი ხდება ბუღალტრის დაქირავება, დამატებითი მუშახელი. ამასთან მნიშვნელოვნად იზრდება დოკუმენტაციის მოთხოვნებზე დახარჯული დრო.

შემოთავაზებული გადანაცვების გზა არის მცირე ბიზნესისთვის ზღვარის 500,000 ლარამდე აწევა. ასეთ შემთხვევაში უფრო მეტ ბიზნესზე გავრცელდება რეჟიმის მოქმედება. მცირე ბიზნესები არ გადაიხდიან საშემოსავლო გადასახადებს, არამედ გადაიხდიან ბრუნვაზე გადასახადს, რაც მნიშვნელოვნად გაუმარტივებთ საგადასახადო კანონმდებლობასთან შესაბამისობას.

აღნიშნული არ გულისხმობს მცირე ბიზნესების დამატებული ღირებულების გადასახადის ზღვრის აწევას. 100,000 ლარიან ზღვარზე გადასვლის შემთხვევაში მცირე ბიზნესები შეინარჩუნებენ სტატუსს, არ გადაიხდიან საშემოსავლო გადასახადს, მაგრამ ავტომატურად გახდებიან დღგ-ის გადამხდელები, რაც გულისხმობს ანგარიშფაქტურის გამოწერას სხვა ბიზნესებისთვის, მათგან მიღებული დღგ-ის ჩათვლას და შესაბამისად, ბიზნესის განვითარებას.

შედეგად მოხდება ჯერ ერთი, მცირე ბიზნესისთვის ნაწილობრივი შეღავათის მიცემა და სტიმულირება: გადახდის გამარტივება, დოკუმენტაციის ხარჯის დაზოგვა. შედეგად, გადასახადის გადამხდელთათვის გაიოლდება საგადასახადო ბაზისა და გადასახადის გაანგარიშების სირთულის დაძლევა. მეორეც, მოხდება საბიუჯეტო შემოსავლის მობილიზება გადასახადის გადამხდელთა გაზრდილი საგადასახადო

კანონმდებლობასთან შესაბამისობის ხარჯზე. გამარტივებული დაბეგვრის შემთხვევაში, მათი მოტივაციაც უფრო მეტი იქნება გამოვიდნენ ჩრდილიდან და არ დამალონ გადასახადები.

ამასთან, გამარტივდება საგადასახადო ადმინისტრირება, საგადასახადო შემოსავლების ამოსაღებად ნაკლები ხარჯის განწევა იქნება საჭირო, უფრო მარტივი იქნება გადასახადის გადამხდელთა კონტროლი, ნაკლები აუცილებლობა იქნება საგადასახადო შემონმებების განხორციელების, დაიძლევა მთელი რიგი იურიდიული და ადმინისტრაციული სირთულეები და მოხდება საბიუჯეტო შემოსავლების ამოღებასთან დაკავშირებული რისკების მინიმიზაცია.

შედეგად, აღნიშნული ინიციატივა ხელს შეუწყობს:

- ✓ დაბალი ბრუნვის მქონე გადასახადის გადამხდელებისთვის ტვირთის შემსუბუქებას
- ✓ საგადასახადო ორგანოებისთვის მცირე გადამხდელების აუდიტთან დაკავშირებული ადმინისტრაციული ტვირთის შემცირებას
- ✓ გადასახადის დამალვისა და თავის არიდების შესაძლებლობის შემცირებას
- ✓ საგადასახადო და კანონშესაბამისობის ტვირთის ტოლფასოვანი განაწილებას მცირე და მსხვილ საწარმოებს შორის
- ✓ მცირე საწარმოები ეტაპობრივ მომზადებას სწორი ბუღალტრული აღრიცხვის წარმოებისა და საგადასახადო ბაზის შეფასებისათვის
- ✓ ზოგიერთი გადამხდელების ჩრდილოვან ეკონომიკიდან გამოსვლას
- ✓ გარდა ამისა, მიზანშეწონილია შემდეგი ღონისძიებების განხორციელება:
- ✓ მიკრო და მცირე ბიზნესისათვის გადასახადის გაანგარიშების და გადახდის პროცედურების გამარტივება;
- ✓ მიკრო და მცირე ბიზნესისთვის ჯარიმების განსაზღვრა კანონის დარღვევის სიმძიმისა და დასაბეგრი შემოსავლის ოდენობის მიხედვით;
- ✓ მიკრო და მცირე ბიზნესისთვის საგადასახადო საკითხებთან დაკავშირებული საინფორმაციო ბუკლეტების და ბროშურების სისტემატურად გამოცემა, რათა ამაღლდეს გადამხდელთა ინფორმირებულობა და საჯაროობა;

- ✓ მცირე ბიზნესის ხელშეწყობისათვის ბაზრობებზე მედიატორების მივლინებას, რომლებიც ადგილზე შეისწავლიან და ხელს შეუწყობენ მცირე მენარმეთა პრობლემების დარეგულირებას;

2) **საპროცენტო განაკვეთები** - მცირე ბიზნესისთვის უფრო მეტად ხელმისაწვდომი უნდა იყოს დაბალი საპროცენტო განაკვეთები სესხებზე. მცირე და საშუალო საწარმოებისთვის უნდა არსებობდეს გზები, რომლის საშუალებითაც ისინი შეძლებენ დაბალპროცენტო სესხის მიღებას. დღეს ასეთ პროგრამებზე ხელმისაწვდომობა დაბალია, რაც ვერ უწყობს ხელს მცირე და თუნდაც საშუალო ბიზნესის განვითარებას. პირიქით, უფრო მეტად ხდება პოლარიზება მსხვილ ბიზნესსა და მათ შორის, რადგან თუნდაც საბანკო სექტორში საპროცენტო განაკვეთები მცირე ბიზნესისათვის, რომელთაც პატარა მოცულობის სესხი ესაჭიროებათ უფრო ძვირია, ვიდრე მსხვილი სესხები. ამ და ასევე სხვა ფაქტორების გათვალისწინებით, პროდუქციის წარმოებაზე განეული ხარჯები მათთვის უფრო მაღალია, ვიდრე მსხვილი კომპანიებისათვის.

3) **მცირე მენარმეობის წახალისება** - იმისთვის რომ, რაც შეიძლება ბევრმა ადამიანმა გადაწყვიტოს ბიზნესის კეთება და გადადგას პირველი ნაბიჯები ამ გზაზე, მნიშვნელოვანია მათთვის მაგალითების ჩვენება. რაც უფრო მეტი ადამიანის შესახებ გავრცელდება ინფორმაცია, რომლებმაც ნულიდან დაიწყეს და დღეს აქვთ წარმატებული მცირე საწარმო, მით უფრო მეტი იქნება ადამიანი, რომელიც იფიქრებს, რომ მასაც შეუძლია, მოუნდება ამ გზის გავლა და გადადგამს პირველ ნაბიჯებს ამ მიმართულებით. ამისთვის საკმარისია უბრალოდ ინფორმაციის მოგროვება ადგილობრივი, წარმატებული მცირე მენარმეების შესახებ და მისი აქტიური გავრცელება სხვადასხვა მედია საშუალებებით.

4) **მეოთხე მნიშვნელოვანი საკითხი ამ მიმართულებით არის იდეების მიწოდება**, თუ რა შეიძლება აკეთონ ადამიანებმა, რომლებმაც საკუთარი საქმის წამოწყება გადაწყვიტეს და რა შესაძლებლობები არსებობს. ამ იდეების მოსაგროვებლად უამრავი გზაა: უურნალ-გაზეთები, ინტერნეტი, კონკურსები, ტენდერები და პროგრამები. თუნდაც რომ ვცადოთ და ერთი დღის მანძილზე ინტერნეტის საშუალებით ვეძებოთ ბიზნეს-იდეები, აუცილებლად აღმოვაჩინოთ იმას, რაც საქართველოში ჯერ კიდევ არ გავითვალისწინებულა.

5) **და ასევე მნიშვნელოვანი, შეიძლება აღმოჩნდეს საინფორმაციო საკონსულტაციო ცენტრის შექმნა**, რომელიც განუმარტავს ახლად დამწყებებს ან მცირე მენარმეობის მსურველებს ყველა იურიდიულ და ტექნიკურ დეტალს - საკუთარი საქმიანობის დაწყების იურიდიული რეგისტრაციის, თავდაპირველი ნაბიჯებისა და სახელმწიფოს ან სხვა მხრიდან დახმარების მიღების შესაძლებლობების შესახებ.

6) მნიშვნელოვანია მცირე მენარმეების სწავლება - იმისთვის, რომ სულ უფრო მეტმა მცირე მენარმემ, მათი საქმიანობის პირველივე ნაბიჯებისას, რაც შეიძლება მეტი სწორი, ეფექტური გადაწყვეტილების მიღება შეძლონ, როგორც მმართველობითი, ისე პროფესიული განვითარების თვალსაზრისით. აქაც რამდენიმე საკითხია მნიშვნელოვანი, კერძოდ: მმართველობითი კომპეტენცია, ტექნიკური კომპეტენცია და აუცილებელი მიმდინარე ინფორმაცია საქმიანობის დასაწყებად და სანარმოებლად. სახელმწიფოს შეუძლია გამოაცხადოს ტენდერები პროფესიული სასწავლო პროგრამების შემუშავებაზე (საკონდიტრო საქმე, ხეზე მუშაობა, თიხაზე მუშაობა, მინანქარი და საიუველირო საქმე, მცირე ფერმერული მეურნეობის მართვა და კიდევ ბევრი სხვა, რომელზეც შეიძლება იყოს მოთხოვნა) და ყველას ვინც ამ სასწავლო პროგრამებს გაივლის დაპირდეს დახმარებას გაყიდვებში. ასეთ შემთხვევაში სწავლების ღირებულების დიდ ნაწილს დამწყები მენარმეები თვითონაც გადაიხდიან.

ამის გარდა, კარგი იქნება თუ იარსებებს საინფორმაციო ჟურნალი მცირე მენარმეებისთვის, რომელიც შეიცავს მათთვის მნიშვნელოვან ყველა მიმდინარე ინფორმაციას, საკანონმდებლო-საგადასახადო ნიუანსების განმარტებებს, რჩევებსა და განმარტებებს მათთვის საინტერესო საკითხებზე. ასეთი ჟურნალის გამოშვება მნიშვნელოვნად დაეხმარება მცირე მენარმეებს ნელ-ნელა განავითარონ საკუთარი საქმე.

ამ მხრივ, ასევე მნიშვნელოვანია კომერციული ბანკების შესაძლებლობებიც. შესაძლოა კომერციული ბანკის ძირითადი ფუნქცია არ არის იზრუნოს კრედიტორის გადამხდელუნარიანობაზე, თუმცა თუ ამ საკითხს სხვა კუთხიდანაც შევხედავთ, ვადაგადაცილებული და უიმედო სესხები ნებისმიერი ბანკის თავისტკივილია. შესაბამისად, კომერციულ ბანკები უშუალოდ უნდა იყვნენ დაინტერესებული იმით, თუ რაში და რამდენად ეფექტურად იხარჯება მათ მიერ გაცემული ფინანსური სახსრები. ასე რომ კომერციულ ბანკებს შეუძლიათ თავიანთი რესურსების გამოყენებით თუნდაც მცირე პოზიტიური წვლილი შეიტანონ მცირე მენარმეების განათლებაში. ამის კარგი მაგალითია, თიბისი ბანკის ბიზნეს-აკადემია [tbcbusiness.ge](http://tbcbusiness.ge) ; აღნიშნული ბანკი დაინტერესებულ პირებს საშუალებას აძლევს გაეცნონ ბიზნესის კეთების საფუძვლებს. განსაკუთრებით კარგი ინიციატივაა, როცა პროექტის ფარგლებში წარმატებული ბიზნესმენები და მენეჯერები სრულიად უფასოდ ატარებენ საინფორმაციო სემინარებს და რიგით ადამიანებს უზიარებენ საკუთარ გამოცდილებას.

7) მცირე მენარმეების დახმარება გაყიდვებში - იმისთვის, რომ მიიღონ პირველი შემოსავლები, რაც კიდევ უფრო გაუზრდის მოტივს, დაეხმარება დამატებითი საჭირო სახსრების მოძიებაში, სანარმოო საშუალებების შექმნასა და გაუმჯობესებაში.

ამ მხრივ კარგი იქნებოდა არსებობდეს, იაფი საკრედიტო პროდუქტის არსებობა, შეღავათიან პროცენტში, რომელიც დაათინანსებს მცირე და საშუალო ბიზნესების მარკეტინგულ ღონისძიებებს.

### ***გამოყენებული ლიტერატურა:***

1. ი.კოვზანაძე, გ.კონტრიძე „თანამედროვე საბანკო საქმე: თეორია და პრაქტიკა“
2. ვ. მოსიაშვილი, ფ. ლომიძე, ფ. ქოქოსაძე, „საბანკო საქმე“
3. ქოქიაური, ლამარა „საბანკო საქმიანობის საფუძვლები“
4. ლ.ლუღუშაური „ბანკები და საბანკო ოპერაციები“
5. ე.ჯულაყიძე „მცირე ბიზნესი: მენარმეობა, მენეჯმენტი და ადმინისტრირება“

6. ო.შულღაია „მცირე ბიზნესის საფუძვლები“
7. „საქართველოს საგადასახადო კოდექსი“
8. შემოსავლების სამსახურის ოფიციალური ვებ-გვერდი [rs.ge](http://rs.ge)
9. ფინანსთა სამინისტროს ოფიციალური ვებ-გვერდი [mof.ge](http://mof.ge)
10. საკანონმდებლო მაცნე [mastne.gov.ge](http://mastne.gov.ge)
11. საქართველოს ეროვნული ბანკის ოფიციალური ვებ-გვერდი [nbg.gov.ge](http://nbg.gov.ge)
12. საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურის ვებ-გვერდი [geostat.ge](http://geostat.ge)
13. საძიებო სისტემა [google](http://google)
14. უფასო ონლაინ ენციკლოპედია [Wikipedia](http://Wikipedia)